ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ანზორ აბრალავა: „შეიარაღებული გადატრიალების ორგანიზატორების დასჯა აუცილებელია“

გვ.5



შაბათი – კვირა, 17 – 18 სექტემბერი, 2016 №221 (7147) ფასი: 50 თეთრი

# „ოცნების“ ერთადერთი დასაყრდენი ნაციონალური მოძრაობაა“




## გიგლა ბარამიძე რესპუბლიკელებს: „ახლა აღარ მოგწონთ ივანიშვილი, ხომ?“

გვ.2

## სოსო ცინცაძე: „დესტაბილიზაცია არჩევნების შემდეგ არის მოსალოდნელი“

გვ.3



## ალექსანდრე ახალკაცი: „გლდანის ციხე იყო ჯოჯოხეთის თეატრი“

გვ.6




გლდანის ციხე სინამდვილეშიც ისეთი იყო, როგორიც ფილმშია, თუმცა რამდენიმე თვეში კედლები პატიმრების სისხლით შეიღება. ყოველ საღამოს 12-14 თანამშრომელი მოდიოდა 6 კაცზე – სცემდნენ უმიზეზოდ. ლატარიას თამაშობდნენ. დაიძახებდნენ, რომელ საკანში შევდივართო? შევიდოდნენ, სცემდნენ. გაალებდნენ ე.წ. ფორტოჩკას, დაიძახებდნენ, თქვენი დედაო და წავიდოდნენ. შეგინება უარესი იყო.



## მამუკა გამყრელიძე: „სკანდალური კადრები აღარავის აინტერესებს“

გვ. 4

ISSN 1987-9385

## „ოქრუაშვილი ლუდს ამომრჩეველთან ერთად სვამს“

თავდაცვის ყოფილი მინისტრს ამომრჩევლის მოსყიდვაში ადანაშაულებენ

გვ.2



# „ოცნების“ ერთადერთი დასაყრდენი ნაციონალური მოძრაობაა“

## გიგლა ბარამიძე რესპუბლიკელებს: „ახლა აღარ მოგწონთ ივანიშვილი, ხომ?“

შორენა მარსაგიშვილი

**რა შეთანხმებაა „ოცნებასა" და ნაციონალებს შორის, რატომ არის მიუღებელი მოსალოდნელ არეულობაზე საუბარი, რა სანახაობა გველოდება წინ? – ამ თემებზე „ახალ თაობას" „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.**

***– კოალიცია „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრები უკვე დიდი ხანია კბენენ ერთმანეთს. რესპუბლიკელებისა და ივანიშვილის დაპირისპირებამ ძალიან მწვავე სახე მიიღო. ყოფილ პრემიერს მისთვის არასასიამოვნო ინფორმაციების გახმოვანებით ემუქრებიან. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?***

– ეს არის ძალიან სამარცხვინო ფაქტი. კოალიციის ყოფილი სუბიექტები ერთმანეთზე ბაზრის ქალებივით ჭორაობენ. ამათ კიდევ კარგა ხანს გაძლეს ერთად, იმდენად განსხვავებული ხალხი იყო მმართველ გუნდში თავმოყრილი. დაპირისპირება მაშინვე არსებობდა. იქ მყოფი ადამიანები ერთმანეთს 4 წლის წინ არ ელაპარაკებოდნენ.

კოალიციაში ასეთი ამბავი რომ დატრიალდებოდა, ამაზე ჩვენი გუნდი და პირადად მე ჯერ კიდევ 3 წლის წინ ვლაპარაკობდით. სხვადასხვა იდეოლოგიას ვინ ჩივის, ფიზიკურად სძულდათ ერთმანეთი.

***– აბა, ამდენი ხანი ერთად როგორ გაძლეს?***

– რესპუბლიკელები იმის ოსტატები არიან, ვინმეს მიეკედლონ, ბოლომდე გამოსწოვონ და, თუ სარგებელს ვეღარ ნახავენ, წავიდნენ. ამ შემთხვევაში მათ კოალიციიდან წასვლა არ უნდოდათ. ისინი ივანიშვილმა პრაქტიკულად გაყარა და ახლა შემოდგომის ბუზებივით მწარედ იკბინებიან. ერთი შეხედვით, გამოცდილი და განათლებული ხალხია, მაგრამ იმისთანა რამეებს კადრულობენ, რაც პოლიტიკისა და დიპლომატიისთვის მიუღებელია.

***– რა არის პოლიტიკისთვის მიუღებელი?***

– დახურულ კარს მიღმა საუბრის დეტალები გარეთ ერთმანეთის მტრებსაც კი არ გამოაქვთ. ჩვენ მომსწრენი ვართ ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი ნორმების ჩამოშლისა. დღეს პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ყველაფერს კადრულობს და ამიტომაც არის ქართული პოლიტიკა ბინძური. მეამაყება, რომ ჩვენი პოლიტიკური ძალა ამ სიბინძურეში არასდროს ყოფილა გარეული.

ასევე საშინელი სანახავი იყო, როგორ გააცამტვერა პაატა ბურჭულაძემ თავისი სახელი. ამ დღეებში გამოქვეყნებულმა სატელეფონო საუბრის ჩანაწერმა საერთოდ წერტილი დაუსვა ამ ადამიანის კარიერას. რაც არ უნდა დაამონტაჟონ და მიჭრა-მოჭრან, ერთი რამე ნათლად ჩანს – ბურჭულაძეს პატრონყმური დამოკიდებულება აქვს ერთ-ერთი ტელევიზიის ხელმძღვანელის მიმართ.

***– მოდით, ისევ რესპუბლიკელების მუქარას დავუბრუნდეთ, თქვენი აზრით, რა კომპრომატები შეიძლება გამოუქვეყნონ ივანიშვილს?***

– არ ვიცი, ერთმანეთზე ბევრი რამე ექნებათ სათქმელი და ისეთი გამწარებულები არიან, რომ არც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაჟღერებას მოერიდებიან. როგორ გგონიათ, ეს ხალხი ქვეყნისთვის რაიმეს გააკეთებს? მეტი არაა ჩემი მტერი. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ჩათვალა, რომ დემოკრატია ყველაფრის კადრებას ნიშნავს.

მივმართავ რესპუბლიკელებს, ახლა აღარ მოგწონთ ივანიშვილი, ხომ? მის მიერ ნაბოძები თანამდებობები და ფული კარგად შეირგეთ. მინდა, ივანიშვილსაც ვკითხო, თუ ასეთი სახედაკარგულები და უვარგისები იყვნენ, შე დალოცვილო, რას გადაეფარე ამბრაზურასავით და რას ატარე ხელიხელ.

დავით უსუფაშვილმა საერთოდ გადამრია. შეიძლება, პარლამენტის თავმჯდომარე უცხო ქვეყნის ბაზების შემოყვანაზე საუბრობდეს? მერე სხვა საკითხზე გადავიდა და ახლა ივანიშვილს მიახტა.

***– რას ფიქრობთ ლევან ბერძენიშვილის შეთავაზებაზე, რომელმაც ივანიშვილს სთხოვა, დააბრუნეთ ძველი ხელისუფლება და მათ თქვენ გარეშე შევებრძოლებითო.***

– ეს არის ჩვეულებრივი წინასაარჩევნო ბაქიბუქი. რისი შემბრძოლებლები არიან, 1%-ს ვერ ასცილებიან. თუ ასე სჯერათ საკუთარი ძალების, დაიჯერონ.

***– პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა პარტიებს არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებასთან დაკავშირებით მემორანდუმის გაფორმება შესთავაზა. ამასთან დაკავშირებით როგორია თქვენი აზრი?***

– რა მემორანდუმის გაფორმება. ეს იგივეა, მგლის თავზე სახარება წაიკითხო. ისეთი სახედაკარგულები არიან, არც მემორანდუმი უშველის ამათ და არც ფილოსოფიური ტრაქტატი. რომელი მემორანდუმის გაფორმებაზეა საუბარი, როცა მზად არიან, ერთმანეთს ყველაფერი წამოაძახონ.

***– მემორანდუმის გაფორმების შეთავაზების პარალელურად, კვირიკაშვილი მოსალოდნელ არეულობაზეც ალაპარაკდა. შს მინისტრიც ამბობს, რომ რაღაც მზადდება. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

– ჩვენ კარგა ხანია ვამბობთ, რომ საარჩევნოდ არეულობების მცდელობებს ექნება ადგილი. არეულობის კერა საერთაშორისო მაწანწალის, ოდესის გუბერნატორ სააკაშვილის სახით არსებობს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ჯერ კიდევ ჭიკაიძე იყო, როცა ვუთხარი, რომ ნაციონალების ქმედებებისთვის ყურადღება მიექციათ. მათ ჯერ არასამთავრობოები შექმნეს, შემდეგ – სატელიტი პარტიები, მერე ვიღაც ტიპები დაიყენეს გვერდზე. ბოლოს ვეტერანებზეც გავიდნენ. ნაციონალები არაფერს მოერიდებიან და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ყველა გზას მიმართავენ. სახელმწიფო ფხიზლად უნდა იყოს, ზომებიც უნდა მიიღონ, მაგრამ მოსალოდნელ არეულობაზე განცხადებების გაკეთება საჭირო არ არის.



***– რატომ არ არის საჭირო განცხადებების გაკეთება? თავად არ თქვით, ჩვენ დავიწყეთ ამ თემაზე პირველად საუბარიო?***

– ამ შემთხვევაში მე ძალოვნებზე ვსაუბრობ. მათ უნდა იმოქმედონ, განცხადებების გაკეთება მოგვიანებითაც შეიძლება.

***– თქვენი აზრით, ძალოვნები არ მოქმედებენ?***

– ჯერ ამ ქმედებას ვერ ვხედავთ. ხელისუფლება მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლება. არ მესმის, რატომ ეგუება საქართველოს ხელისუფლება ასე მშვიდად იმას, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე სააკაშვილი ჩვენს არჩევნებში ერევა. ძალიან მიკვირს, ერთხელ მაინც როგორ არ დაიბარეს საქართველოში უკრაინის ელჩი და განმარტებები არ მოსთხოვეს, ან ის როგორ ვერ მოიფიქრეს, კიევში გაეგზავნათ საპროტესტო ნოტა.

საქმის გაკეთების ნაცვლად კალთამადლიანი ქალივით ტატყანებენ ყველაფერზე, რაც ენაზე მოადგებათ, დღეს ერთს ამბობენ, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს იტყვიან და სათანადო პასუხს მაშინვე რომ ვერ იღებენ, ჰგონიათ, რომ ხალხს ყველაფერი ავიწყდება. ასეთი ხალხი პარლამენტში ყოფნას არ იმსახურებს.

ჩვენი პოლიტიკოსების დიდ ნაწილს ქვეყნის მართვა სახლობანას თამაში ჰგონია. ამათ რომ ვუყურებ, მაგონდება მულტფილმი „სოფლის მაშენებლები“. ჰგონიათ, რომ ქვეყნის აშენებას სიმღერა და ერთი კარგი ბანი უნდა. ბანიც შეუერთდათ, მაგრამ სავსებით გაინადგურა რეიტინგი.

რომელი ქვეყნის აშენებაზეა საუბარი, როცა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარებად სულ ნაციონალებიდან გადმომხტრები დასახელდნენ. საარჩევნო სიაშიც მრავლად მოხვდნენ ყოფილი ხელისუფლების მომხრეები.

***– ეს სერიოზულ ეჭვებს აჩენს და ამის გამო „ოცნებამ“ ბევრი მხარდამჭერი დაკარგა. თქვენი აზრით, რაში სჭირდება „ოცნებას“ ყოფილი ნაციონალები?***

– რამეში გამოიყენებენ, ზოგის

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „ოქრუაშვილი ლუდს ამომრჩეველთან ერთად სვამს“

## თავდაცვის ყოფილ მინისტრს ამომრჩევლის მოსყიდვაში ადანაშაულებენ

შორენა მარსაგიშვილი

**სკანდალური ირაკლი ოქრუაშვილი ახალ სკანდალში გაეხვია. მას კონკურენტები ამომრჩევლის მოსყიდვაში ადანაშაულებენ. პატრიოტთა ალიანსში ამტკიცებენ, რომ ოქრუაშვილი ახალგაზრდებთან ერთად ლუდზე ქეიფობს.**

ლუდით ამომრჩევლის გულის მოგება ახალი ამბავი არ არის. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კი ქვემოქართლელ ნაციონალებს იმიტომ აუმხედრდნენ, რომ სააღდგომოდ მოსახლეობას ცხვარი და ოციანი უკისრა.

გორის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარობის კანდიდატმა პატრიოტთა ალიანსიდან მამუკა ნოზაძემ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ ოქრუაშვილმა ამომრჩეველს ლუდი და ამ სასმელზე მისაყოლებელი პროდუქტები უყიდა.

– წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადგილი აქვს ამომრჩევლის მოსყიდვას. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხდებოდა ირაკლი ოქრუაშვილის მხრიდან სხვადასხვა უბანში ახალგაზრდებისთვის ლუდის ყიდვა და მათთან ერთად მირთმევა, თუმცა ოქრუაშვილი ამას არ დასჯერდა და კომბინატის დასახლებაში, შინდისის გზატკეცილზე, 11, 13 და 15 ნომერ კორპუსებში მცხოვრებლებისთვის პროდუქტები მიიტანა ამანათის სახით.

ეს არის საშინელება. ჩვენ ვერ გამოვედით პოსტსაბჭოთა სივრციდან და ხდება ამომრჩევლის „ყიდვა“. ეს გახლავთ დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე პრიმა მუხლის შესაბამისად და აუცილებლად პასუხისგებაში უნდა მიეცეს ყველა ის პირი, რომლებმაც ამანათები გადასცეს ამომრჩეველს. ამასთანავე, სასამართლოს მიერ უნდა მოიხსნას ოქრუაშვილის კანდიდატურა, – განაცხადა მამუკა ნოზაძემ.

მამუკა ნოზაძე აცხადებს, რომ აღნიშნული განცხადებით მან პროკურატურას უკვე მიმართა. ბრალდებას ოქრუაშვილის საარჩევნო შტაბიდან ჯერჯერობით არ გამოხმაურებიან.

სანამ პროკურატურაში იმაზე ფიქრობენ, რა მოუხერხონ ოდესღაც პირველ ბრალმდებელს, ქალაქ გორის მერმა ზურაბ ჯირკველიშვილმა ოქრუაშვილს უსტარი აახლა და გააფრთხილა.

გორის მერიაში აცხადებენ, რომ სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტისთვის წინასაარჩევნო აგიტაციისთვის გამოყოფილი ფართობის დიდ ნაწილი ირაკლი ოქრუაშვილმა, ფაქტობრივად, სრულად აითვისა.

– გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ დარღვეულია შესაბამისი დადგენილების მოთხოვნები. შესაბამისად, გთხოვთ გამოყოფილ ადგილებზე საარჩევნო პლაკატები 16 სექტემბრამდე განათავსოთ იმ ფორმით, რომ დაცულ იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა, – ასეთ გაფრთხილებას აძლევს მერია ირაკლი ოქრუაშვილს.

გაფრთხილების პარალელურად, დეპუტატობის კანდიდატს აუწყეს, რომ თუ მერიის მოთხოვნას არ გაითვალისწინებს და გამოკრულ სააგიტაციო მასალას არ შეცვლის, დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი დადგენილი წესით.



ეს გაფრთხილება ოქრუაშვილმა 15 სექტემბერს მიიღო და ხარვეზების აღმოსაფხვრელად ერთი დღე მისცა.

ოქრუაშვილის შტაბმა წერილის მიღებისთანავე გააკეთა განმარტება. შტაბის წარმომადგენელი ლერი ლაფაჩი აცხადებს, რომ მერიის ამ მოთხოვნის შესრულებას არ აპირებენ.

ეს დაუმორჩილებლობა ლაფაჩმა იმით ახსნა, რომ მათ სააგიტაციო მასალისთვის გამოყოფილი ადგილები სრულად არ აუთვისებიათ. მისი თქმით, გარკვეული ადგილი პლაკატების გასაკრავად სხვა სუბიექტებსაც დარჩათ.

– როგორც ჩანს, მათ კანდიდატებს დიდი თავები აქვთ და არ ჰყოფნით ადგილი სააგიტაციო მასალის გასაკრავად. ამიტომ სხვა დროს ვიფიქრებთ და მეტ ადგილს დავუტოვებთ, – განაცხადა ლერი ლაფაჩმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „დესტაბილიზაცია არჩევნების შემდეგ არის მოსალოდნელი“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ხელისუფლებამ ერთი პატარა საბაბიც კი არ უნდა დაუტოვოს არც ერთ პარტიას, რომ შემდეგ დესტაბილიზაცია ვიღაცამ გაამართლოს.**

***— ბატონო სოსო, ხელისუფლება ე.წ. სამშვიდობო მემორანდუმისთვის შეერთებას სთავაზობს პოლიტიკურ ძალებს. რამდენად არის ასეთი მემორანდუმი გარანტია, რომ არჩევნები ექსცესების გარეშე ჩატარდეს?***

— ასეთი მემორანდუმები ჩვენთვის სიახლე არ არის. რაც არჩევნები ტარდება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, იმდენი მემორანდუმი და მასზე დაფიქსირებული ხელმოწერა გაფორმებულა, მაგრამ შედეგი?!

***— არ მოაქვს ასეთ შეთანხმებას შედეგები?***

— ცხადია, არა, მას ისევე ივიწყებენ პოლიტიკოსები, როგორც წინასაარჩევნოდ გაცემულ დაპირებებს. არადა პოლიტიკაში სიტყვას, შეთანხმებას, გაცემულ დაპირებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ჩვენთან არა აქვს მნიშვნელობა, თორემ დასავლეთში ამის გარეშე პოლიტიკა, უბრალოდ, არ არსებობს. ამიტომ ნდობა ასეთი მემორანდუმებისადმი ნაკლებია, ეს უფრო პროპაგანდისტულ ჟესტს წააგავს. ან უნდა იყოს ისეთი მტკიცე გარანტია, რომ ვინც დაარღვევს შეთანხმებული თამაშის წესს, ის ძალიან მკაცრად დაისჯება. ალბათ ყველა პარტია მოაწერს, მაგრამ იქნებიან ისეთები, რომლებიც არ მოაწერენ და იტყვიან, რომ ისინი უკვე დაიჩაგრნენ, მაგალითად, მრეწველები, რომლებსაც ცესკომ ლამის არჩევნებში მონაწილეობის უფლება წაართვა.

***— რეალურად რამდენად არის მოსალოდნელი, რომ რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, ვითარება დაიძაბოს?***

— სავსებით რეალურია, მაგრამ არა იმ მოტივაციით, რასაც ხელისუფლება ასახელებს.

***— რა მოტივაციას გულისხმობთ?***

— მაგალითად, ცესკოს მოქმედებას, რომელმაც მრეწველთა პარტიას არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა, რომ არა სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, ისინი ვერ მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას. თუმცა, ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები, რადგან ცესკო ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილებას ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს. ეს ხომ არის რეალური საბაბი, რომ ვითარება დაიძაბოს?! ასეთი საბაბი არავის არ უნდა მისცენ. ეს პატარა ინციდენტი ცესკოს მიმართ ნდობას ზრდის თუ პირიქით? ცხადია, არ ზრდის. ამიტომ ვამბობ, რომ არჩევნების წინ ყველა დეტალს აქვს, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ არჩევნები დემოკრატიის სტანდარტების შესაბამისად ჩატარდეს. ცესკოს მიმართ ნდობა უკვე დაცემულია, ეს აძლევს საბაბს ნებისმიერ პარტიას, რომელიც არჩევნების შედეგებით იქნება უკმაყოფილო, ქუჩაში გამოვიდეს და თქვას: ცესკომ, რომელმაც გოგი თოფაძეს, რომელიც ხელისუფლებასთან ერთ კოალიციაში იყო, გაუუქმა არჩევნები, ჩვენ როგორ მოგვექცეოდაო. ამას დაიხვევენ თითზე.



***— ცესკოსთან გაქვთ კითხვები?***

— ცესკოს ნდობა არის შერყეული ამ ინციდენტის შემდეგ. ცესკო უკვე ჩაიჭრა. ან უნდა დაამტკიცოს, რომ სასამართლო შეცდა, ან გამოვიდეს და ბოდიში მოიხადოს. ცესკოს ასეთი გადახვევები ნდობას უკარგავს საერთოდ შედეგებს. ეს უკვე არის დესტაბილიზაციისკენ ერთი ნაბიჯი, გამოვა ესა თუ ის პარტია ქუჩაში სწორედ ცესკოს საბაბით, მოაწყობს მიტინგებს და ეს უკვე არის არასასურველი გარემო ხელისუფლებისთვის. დესტაბილიზაციას ყოველთვის იწვევს არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები, როდესაც პარტია არ ცნობს არჩევნების შედეგებს. როდესაც ხალხს ჰქონდა განცდა, რომ მას ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნები მოპარა, ლევან გაჩეჩილაძემ, გვახსოვს, ჩაქუჩით ხელში ცესკოსთან როგორ მოაწყო აქცია, როგორ მივიდნენ მაშინდელი ოპოზიციის ლიდერები თარხნიშვილთან. მაშინ ოპოზიცია ხელახალი არჩევნების დანიშვნას ითხოვდა. ეს, რასაკვირველია, იყო დესტაბილიზაცია. ეს იყო მოვლენების იმგვარად განვითარება, რომელიც, ცხადია, მაშინდელ ხელისუფლებას არ აწყობდა, მაგრამ ამის მიზეზი არსებობდა მაშინ. ამიტომ არც ერთი პატარა მიზეზი არ უნდა მისცეს ხელისუფლებამ არავის, რომ შემდეგ ეს ვიღაცამ გამოიყენოს.

***— წინასაარჩევნო გარემო შედარებით მშვიდობიანად ჩაივლის და არჩევნების შემდეგ ელოდებით ვითარების გამწვავებას?***

— ეს ყოველთვის ასეა. არჩევნების წინ ეგზოტიკური გამონაკლისის გარდა, თუ ვინმეს უნდა არჩევნების ჩაშლა, არავის არ აწყობს არეულობა და დესტაბილიზაცია. დღეს არჩევნების ჩაშლა არავის არ აწყობს. ამიტომ ვამბობ, რომ დესტაბილიზაცია არჩევნების შემდეგ არის მოსალოდნელი. არჩევნების შემდეგ დესტაბილიზაციას კი იწვევს არჩევნების რეალური თუ მოჩვენებითი გაყალბება.

***— და რამდენად რეალურია, რომ ესა თუ ის პარტია სწორედ ამ მოტივით გამოვიდეს ქუჩაში და პროცესების ესკალაცია მოახდინოს?***

— ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც რეალურ ინფორმაციას ფლობენ და არა კულუარულს, გამოდიან და ღიად აცხადებენ, რომ ასეთი საშიშროება არსებობს, მაგრამ არჩევნებით კმაყოფილი ძალა არასდროს დესტაბილიზაციას არ იწვევს. დესტაბილიზაციის სურვილი წაგებულ პარტიას უჩნდება, მაგრამ ხელისუფლების ამოცანა ის არის, რომ ასეთ პარტიას არავითარი საბაბი არ დაუტოვოს, არათუ მიზეზი, რომ მან დესტაბილიზაციის, არეულობის მოწყობა შეძლოს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საბაბი არ არსებობდეს.

# კანონის რა მოთხოვნებს არღვევს სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი



საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი ლევან დავითაშვილი, რომელიც ამ თანამდებობაზე ერთი კვირის წინ დაინიშნა, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის მოთხოვნას არღვევს, ვინაიდან იგი ერთდროულად 4 საწარმოს დირექტორის პოზიციასაც იკავებს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის წევრს უფლება არა აქვს დააფუძნოს საწარმო ანდა ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. ამ მოთხოვნის დარღვევა შესაძლოა გახდეს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით მისი თანამდებობიდან გათავისუფლების ან პარლამენტის მიერ იმპიჩმენტის წესით გადაყენების საფუძველი.

ლევან დავითაშვილი სოფლის მეურნეობის მინისტრად 2016 წლის 9 სექტემბერს დაინიშნა. მანამდე, 2014 წლის 7 ნოემბრიდან, იგი იმავე სამინისტროში მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა, უფრო ადრე კი სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე იყო.

საჯარო სამსახურის ბიუროში 2014–2016 წლებში წარდგენილი ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით, სოფლის მეურნეობის მინისტრი სამეწარმეო საქმიანობას არ ახორციელებს. თუმცა, კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოარკვია, რომ ლევან დავითაშვილი ერთდროულად 4 საწარმოს დირექტორია: შპს „ენოჯორჯია“ (რეგისტრირებულია 2004 წლის 4 ივნისს; საიდენტიფიკაციო კოდი – 231254291), შპს „საქართველოს საკონსულტაციო ჯგუფი“ (რეგისტრირებულია 2005 წლის 23 ივნისს; საიდენტიფიკაციო კოდი – 200142871), შპს „გლობალ ფუდ იმპორტი“ (რეგისტრირებულია 2008 წლის 30 ივლისს; საიდენტიფიკაციო კოდი – 205260705) და შპს „გლობალ ფეშენ გრუპ“ (რეგისტრირებულია 2009 წლის 21 აპრილს; საიდენტიფიკაციო კოდი – 205277378). აღსანიშნავია, რომ დაფუძნების შემდეგ არცერთი ამ საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში რაიმე ცვლილება არ მომხდარა.

შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე არსებული გადამხდელთა რეესტრის მონაცემებით, დღეის მდგომარეობით ყველა აღნიშნული შპს მოქმედი საწარმოა. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის წევრს უფლება არა აქვს დააფუძნოს საწარმო ანდა ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას (81.2 მუხლის მე-4 პუნქტი). ამ მოთხოვნის დარღვევა შესაძლოა გახდეს მთავრობის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების ან იმპიჩმენტის წესით გადაყენების საფუძველი.

ანალოგიური შეზღუდვა ვრცელდება ასევე მინისტრის მოადგილეებზეც. კერძოდ, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მინისტრის მოადგილეებს უფლება არა აქვთ შედიოდნენ სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ, საკონტროლო და სარევიზიო ორგანოებში, ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას. თანამდებობის პირს ეკისრება ვალდებულება – თანამდებობის დაკავებიდან 10 დღის ვადაში გადადგეს შეუთავსებელი თანამდებობიდან ან შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ მინისტრისა და მისი მოადგილის მიმართ ასევე ვრცელდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც თანამდებობის პირის ქონებრივ დეკლარაციაში სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს ინფორმაცია მისი და ოჯახის წევრების სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ.

ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე პირის ვინაობა, საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, მონაწილეობის ფორმა, საწარმოს მარეგისტრირებელი ორგანო და რეგისტრაციის თარიღი, საწარმოს იურიდიული მისამართი, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დროის მონაკვეთი და საანგარიშო პერიოდში სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი (მე-15 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი).

ლევან დავითაშვილის ქონებრივი დეკლარაციების შესაბამის გრაფაში მხოლოდ მეუღლის თეა ფარქოსაძის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ ინფორმაციაა დაფიქსირებული. კერძოდ, ყველა დეკლარაციაშია აღნიშნული, რომ თეა ფარქოსაძე შპს „მაქსფარმას“ და შპს „Iნტერმანაგემენტ“-ის პარტნიორია, თუმცა არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ 2013 წლიდან იგი არის შპს „Iნტერმანაგემენტ“-ის დირექტორიც.

2017 წლის 1 იანვრიდან საჯარო სამსახურის ბიურო პროაქტიულად განახორციელებს თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციებში მონაცემთა სისწორისა და სისრულის მონიტორინგს, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კი ადმინისტრაციული სანქციის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა 1.000 ლარის ოდენობით. ამასთან, თუ ადგილი ექნება დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემების შეტანის ფაქტს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლის შესაბამისად, ამგვარი ქმედება დანაშაულად მიიჩნევა, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით 120-დან 200 საათამდე, ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ვადით 3 წლამდე.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ნოდარ ჯავახიშვილი: „წინასაარჩევნოდ ტვინები ცხელდება“



— ნუ გაგიკვირდებათ, წინასაარჩევნოდ ტვინები ცხელდება და ძალიან ბევრ საინტერესო განცხადებას მოისმენთ, ნუ გაგიკვირდებათ.

ასე გამოეხმაურა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერის, პაატა ბურჭულაძის განცხადებას, რომ საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს რუსეთის უშიშროებასთან და სწორედ ამ ურთიერთობების დამსახურება და შედეგია ის ფარული ჩანაწერი, რომელიც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა.

როგორც ჯავახიშვილმა აღნიშნა, ის ეთანხმება მმართველ გუნდში გაკეთებულ განცხადებებს, რომ ნიკა გვარამია-პაატა ბურჭულაძის სატელეფონო ჩანაწერის გავრცელება „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესში შედის.

— ნახევარი საბჭოთა კავშირის პერიოდში ვიცხოვრე და მაშინაც კი არ მქონია საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებთან ოდნავი შეხებაც კი, ახლა შეიძლება ეს ვინმემ დამაბრალოს? როდესაც ჩვენები საუბრობენ, რომ ეს მათ (ნაციონალური მოძრაობის) ინტერესებშია, არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს რამეს ვაბრალებთ. ვთვლი, რომ კორექტული განცხადება გაკეთდა და მეც ვეთანხმები, რომ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებში, — განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ზუგდიდის გამგებლის წარმომადგენელ ბეჟან ჭურღულიას სცემეს



ზუგდიდის გამგებლის წარმომადგენელ უჩა შონას ადმინისტრაციულ ერთეულში ბეჟან ჭურღულიას სცემეს. როგორც ახალსოფლის რწმუნებული ლადო ქვარცხავა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განმარტავს, ბეჟან ჭურღულიასთან შელაპარაკება ნაციონალური მოძრაობის აქტივისტ გიგა მაქაცარიას და მის მეგობარ ნიკა ჭურღულიას მოუვიდა.

— ვისხედით ჩვენს სამუშაო ოთახში, რა დროსაც ბეჟან ჭურღულიას დაუძახეს და გარეთ გავიდა. შემდეგ შემოგვესმა ჩოჩქოლის ხმა და როდესაც გამოვედით, ვნახეთ, რომ ჭურღულიას ორივე სცემდა.

როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ნიკა ჭურღულიას ბეჟანთან ჰქონია პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ბეჟანმა ის ნაცმოძრაობის მხარდამჭერად მოიხსენია. შეხლა-შემოხლა ხალხის მისვლის შემდეგაც გაგრძელდა, თუმცა შევძელით მათი გაშველება, — განაცხადა ქვარცხავამ.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მამუკა გამყრელიძე: „სკანდალური კადრები აღარავის აინტერესებს“

ნონა ცაბაძე



**„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი ელჩი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

***— ბატონო მამუკა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკური ფონიც იძაბება, ხელისუფლება აქტიურად საუბრობს იმის თაობაზე, რომ მოსალოდნელია დესტაბილიზაცია ოპოზიციური პარტიების მხრიდან და ოპოზიციურში პირველ რიგში ნაციონალური მოძრაობა იგულისხმება. საფრთხე რეალურია თუ ეს არის უბრალოდ მოსახლეობის დაშინების მცდელობა?***

— გამომდინარე იმ სიტუაციიდან, რა სიტუაციაშიც ახლა ნაციონალური მოძრაობა იმყოფება, როდესაც მისი მხარდამჭერი არ არის მოსახლეობის უმრავლესობა, არანაირ არეულობას მისგან არ უნდა ველოდოთ. უბრალოდ, არ გაყვება მას მოსახლეობის დიდი ნაწილი. უბრალოდ, არ აყვება ხალხი. საპროტესტო მუხტი „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ არ არსებობს და არ მჯერა იმისა, რომ დღეს ნაციონალურ მოძრაობას შეუძლია დიდი არეულობის მოწყობა. ეს, ჩემი აზრით, უფრო წინასაარჩევნო ხრიკია ხელისუფლების მხრიდან.

***— და რაში სჭირდება ხელისუფლებას ასეთი ხრიკები?***

— დღეს თუ ვინმეს შეუძლია მოწყობა რაიმე სახის პროვოკაციის, დესტაბილიზაციის, ეს შეუძლია პირველ რიგში თავად „ქართულ ოცნებას“, თავად ხელისუფლებას. დღეს ხელისუფლებაზე ძლიერი, ქვეყანაში არც ერთი ძალა არ მეგულება. ხელისუფლებას აქვს ყველა ადმინისტრაციული რესურსი, როგორც ნახეთ, მას ჰქონდა ერთი ორჯერ რაღაცა პროვოცირების მცდელობა. თვითონ მათი რიტორიკა, მუდმივად არის დაშინების და დამადლების პოლიტიკა. მიმართავენ მოსახლეობას, რომ ჩვენ მადლობა უნდა გვითხრათ...

***— რატომ, ნაციონალები რომ მოგაშორეთო?***

— დიახ, აი ასეთი ტონი აქვთ. ეს რიტორიკა კარგს არაფერს მოიტანს, პირიქით, რადიკალიზაციას ახდენს მოსახლეობის. ეს განცხადებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მეორეა კიდევ, ასეთი თანამდებობის პირმა, როგორიც არის შინაგან საქმეთა მინისტრი, ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებები არ უნდა გააკეთოს.

***— მინისტრი აცხადებს, რომ რეალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებენ ამას..***

— კარგით რა, თუ რამე ინფორმაცია აქვს, მას აქვს ხელში ის ბერკეტები, რომ ეს ინფორმაცია გადაამოწმოს და მიიღოს შესაბამისი ზომები. გამოვარდნა და წივილ-კივილი იმაზე, რომ, არიქა, ხალხო, აქ საშინელებები მოხდება, ეს არის სრული არაპროფესიონალიზმი შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან. ხალხს რას მოუწოდებ, მიდი და გააკეთე საქმე, თუკი რეალურ ინფორმაციებს ფლობ! ხალხმა რა უნდა უშველოს?! პოლიცია მაგას ჰყავს და შინაგანი ჯარი და მე უნდა ვუშველო?! ეს კაცი არც არასოდეს ყოფილა დიდი პროფესიონალი და ამ განცხადებებით გამოაჩინა სრული უმეცრება. ვინ მოგცა უფლება, გამოდიხარ და ხალხს აპანიკებ! იმის მაგივრად, რომ სიმშვიდისკენ მოუწოდო.

***— აღარ დარჩა დიდი დრო არჩევნებამდე, რამდენად არის იმის საფრთხე, რომ რეალურად მართლა დაიძაბოს ვითარება?***

— საქმე ისაა, თუ სცენარი წავა იმ მხარეს, რომ ოცნებამ „გაიმარჯვა“, რაღაცა დოზით გამარჯვებას ვგულისხმობ, თორემ საუბარი არ არის ტოტალურ გამარჯვებაზე, ეს დამთავრებულია.

***— რატომ არის დამთავრებული?***

— ამ ოთხი წლის განმავლობაში მათ სრული უსუსურობა უჩვენეს საზოგადოებას და სწორედ ამიტომ! თუმცა მოგებით, მაინც მოიგებენ. თუ ამას მოახერხებენ, არაფერიც არ დაიძაბება და არაფერიც არ მოხდება. ნაციონალურ მოძრაობას დღეს არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მოსახლეობა გამოიყვანოს ქუჩაში. არ არსებობს დღეს მოსახლეობაში გაღიზიანების ის მუხტი, რომელიც მისცემს საშუალებას რომელიმე ოპოზიციურ ძალას, დაუდგეს წინ ხელისუფლებას. თუ მოხდა რაღაც საოცრება და ხელისუფლებამ ვერ მოახერხა გამარჯვება, მაშინ აუცილებლად დაიწყებენ გაყალბებას და ამ გაყალბებას შეიძლება მოყვეს სერიოზული პრობლემები.

***— ბატონო მამუკა, „ოცნების“ მმართველობის ოთხი წლის თავზე კვლავ აქტუალურია ფარული მოსმენების და მიყურადების თემა, შემდეგ ამის ინტერნეტსივრცეში ატვირთვა, თუნდაც ბოლო ფაქტი რომ გავიხსენოთ...***

— რას ემსახურებოდა ეს ფაქტი, ვერაფრით ვერ გავიგე. მართლა არ მესმის, რა არის ეს სიბრიყვე? ის, რომ გვარამია მართავს ბურჭულაძეს?! მართავს არა. ეს ჩვეულებრივი ლაპარაკი იყო კომერციული ტელევიზიის მფლობელსა და ოპოზიციური პარტიის ლიდერს შორის. ასეთი საუბრები მუდმივად ხდება და მუდმივად ათანხმებენ იმ სტრატეგიას, რა სტრატეგიითაც უნდა, რომ წარმოჩნდეს ესა თუ ის პოლიტიკური ძალა.

***— ტონი იყო მბრძანებლურიო...***

— ტონი იქნებოდა...

***— რატომ უნდა ყოფილიყო?***

— ნახეთ როგორი რაღაცაა, შენ შემიკვეთე, რომ მე ვარ ოპოზიციური ძალა და უნდა გამომაჩინო, როგორც რეალური ოპოზიციური ძალა. მერე უცებ იძახი, რომ ხელისუფლებასთან ერთად კოალიციაზე უარს არ იტყვი. შე კაი დედმამიშვილო, დებილი გგონივარ? ერთს მეუბნები და მეორეს აკეთებ?! ეს მბრძანებლური კი არა, გაღიზიანებული ტონი იყო გვარამიასი და მისი აბსოლუტურად მესმის.

***— ექნება წინასაარჩევნოდ კადრების გავრცელებას ადგილი?***

— არ არის გამორიცხული, რომ ჰქონდეს, მაგრამ ეს აღარავის აინტერესებს!

## დავით ნარმანიას დაცვამ „თავისუფალი ზონის“ წევრები შეხვედრიდან გააძევა




დავით ნარმანიას დაცვამ „თავისუფალი ზონის“ წევრები შეხვედრიდან გააძევა „მოსწავლე – ახალგაზრდობის სასახლეში“, სადაც თბილისის მერი დავით ნარმანია 2014-2016 წლების საქმიანობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაციას გეგმავს, ინციდენტი მოხდა.

„თავისუფალი ზონის წევრები“ – ბესო კალაძე და ირაკლი ქომეთიანი საპრეზენტაციო დარბაზში შევიდნენ და დედაქალაქის მერისგან კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვეს, თუმცა დაცვის თანამშრომლებმა მათ დარბაზი დაატოვებინეს.

ბესიკ კალაძის განცხადებით, ვიდრე ქომეთიანთან ერთად დარბაზიდან გაიყვანდნენ, თბილისის მერმა მას ხელი კრა.

– ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ და მსურდა მერის ანგარიშს დავსწრებოდი, რადგან უშუალოდ მისგან მიმელო პასუხები დედაქალაქში არსებულ საცობებთან, ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რისი საშუალებაც არ მომეცა. მერმა ხელი მკრა, დაცვამ კი დარბაზი დაგვატოვებინა, – განაცხადა ბესილ კალაძემ, რომელმაც დარბაზიდან გასვლამდე თბილისის მერს შემდეგი რეპლიკით მიმართა: „მაიმუნო ვირიშვილოს“ მეტი არაფერი გისაუბრიათ. რა მდგომარეობაში ჩააგდეთ ქალაქი“. ამასთან, „თავისუფალი ზონის“ წევრები ნარმანიას დაცვას მოუწოდებდნენ, მათთვის „ხელი გაეშვათ“.

**ინტერპრესნიუსი**

## პრემიერმა კახეთის გუბერნატორად ირაკლი ქადაგიშვილი წარადგინა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კახეთის გუბერნატორად ირაკლი ქადაგიშვილი წარადგინა. მან ამ პოსტზე ირაკლი შიოლაშვილი შეცვალა, რომელიც „ქართული ოცნება“ სიღნაღი-დედოფლისწყაროს გაერთიანებულ ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია. პრემიერმა შიოლაშვილს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.



– ბატონი ირაკლი შიოლაშვილი არჩევნებში იღებს მონაწილეობას და გამომდინარე აქედან, მან დატოვა გუბერნატორის პოსტი. მინდა წარმოგიდგინოთ კახეთის გუბერნატორის პოსტზე ირაკლი ქადაგიშვილი.

ბატონი ირაკლი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. იგი იყო პირველი მოწვევის პარლამენტის წევრი. არჩეული იყო თბილისის საკრებულოს წევრად და ასევე გახლდათ კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდის მენეჯერი.

2012 წელს კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბში იყო კახეთის მიმართულების კურატორი. მას აქვს ძალიან სერიოზული გამოცდილება. არის უაღრესად წესიერი ადამიანი და ყველა ჩვენგანი დარწმუნებული ვართ, რომ ძალიან ბევრ წარმატებას მიაღწევს ჩვენს გუნდთან ერთად.

მოხარული ვარ, რომ ასეთი ადამიანი იქნება ამ ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულების ხელმძღვანელი, – განაცხადა კვირიკაშვილმა და მას წარმატება უსურვა.

პრემიერმა ირაკლი შიოლაშვილს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და მასაც წარმატებები უსურვა მაჟორიტარულ არჩევნებში ბრძოლაში.

**ინტერპრესნიუსი**

## ვახტანგ რჩეულიშვილი: „ცენტრ პოინტში“ ახლა მარტო 5 თანამშრომელი მუშაობს, დანარჩენები უხელფასო შვებულებაში გავუშვით“

– „ცენტრ პოინტში“ ახლა მარტო 5 თანამშრომელი მუშაობს, დანარჩენები უხელფასო შვებულებაში გავუშვით. კომპანია „ცენტრ პოინტის“ თანამშრომლების უმეტესობა უხელფასო შვებულებაში გაუშვეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კომპანიის ერთ-




ერთმა დამფუძნებელმა ვახტანგ რჩეულიშვილმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, „ცენტრ პოინტის“ ხელმძღვანელის, მაია რჩეულიშვილის პატიმრობაში ყოფნის გამო, კომპანია, პრაქტიკულად, პარალიზებულია და ვერ მუშაობს.

– საქმიანობა, პრაქტიკულად, ძალიან გაძნელებულია. პროექტები გაჩერებულია. ინვესტორები მაიასთან შეხვედრას ითხოვენ და არ ახვედრებენ. პროკურატურას ვთხოვეთ, რომ ინვესტორს მიეცეს მაიასთან, თუნდაც ციხეში შესვლის და მუშაობის საშუალება, ამაზეც უარი გვითხრეს.

ერთადერთი, რაც გვაჩერებს, მაიას წინასწარი პატიმრობაა. ამჟამად ერთადერთ ობიექტზე მიდის მუშაობა, რომელიც პროექტიც ხელმოწერილი იყო ჯერ კიდევ მაიას დაპატიმრებამდე. კომპანიაში ახლა მარტო 5 თანამშრომელია, დანარჩენები უხელფასო შვებულებაშია გაშვებული. ვხვდებით ინვესტორებს, ვათვალიერებინებთ ობიექტებს, თუმცა მაიას გარეშე ეს ყველაფერი დღეს ჩამკვდარია, – განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

კომპანია „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს მაია რჩეულიშვილს თანხების მითვისებასა და გაფლანგვაში ედება ბრალი. საქმე რამდენიმე ეპიზოდს მოიცავს, რომელთაგან ერთ-ერთზე – „ბათუმის მაგნოლიას“ საქმეზე მას წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული. მასთან ერთად ასევე პატიმრობაში იმყოფება „ცენტრ პოინტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გუკა რჩეულიშვილი და „ცენტრ პოინტ აჭარას“ დირექტორი ირაკლი მინდელი.

**ინტერპრესნიუსი**

## პრეზიდენტის ადმინისტრაცია პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებს, ე.წ. სამშვიდობო მემორანდუმს შეუერთდნენ

პრეზიდენტის ადმინისტრაცია პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებს, ე.წ. სამშვიდობო მემორანდუმს შეუერთდნენ. როგორც ჟურნალისტებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა განუცხადა, ინიციატივა, რომლითაც პრემიერ-მინისტრი გამოვიდა, შეთანხმების კარგი შესაძლებლობაა, რომელიც ხელიდან არც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ არ უნდა გაუშვას.

– ჩვენ ყოველთვის მძაფრად ვაკრიტიკებდით ყველა ტიპის ძალადობას. შესაბამისად, მივესალმეთ პრემიერის ინიციატივას ე.წ. სამშვიდობო მემურანდუმთან დაკავშირებით.

მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებს, ჩაერთონ დიალოგის პროცესში და შეუერთდნენ მემორანდუმს, რომელიც შესაძლოა არ იყოს ყველაფრის გარანტი, მაგრამ ეს არის შესაძლებლობა მეტი შეთანხმებისა და დიალოგისაკენ, რომელიც ჩვენ ხელიდან არ უნდა გავუშვათ, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

მისივე განმარტებით, ქვეყანამ უნდა შეძლოს არჩევნების მშვიდ, სამართლიან და დემოკრატიულ გარემოში ჩატარება.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, „ქართული ოცნება“ არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად პოლიტიკურ პარტიებს მემორანდუმის გაფორმებას სთავაზობს.

**ინტერპრესნიუსი**



# ანზორ აბრალავა: „შეიარაღებული გადატრიალების ორგანიზატორების დასჯა აუცილებელია“

## „რატიანი და ჯაფარიძე ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებიან“

მარიამ მჭედლიშვილი

**ყოფილი დეპუტატი ანზორ აბრალავა „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საუბრობს იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობას დესტაბილიზაცია და გადატრიალება დიდი ხანია უნდა. აქედან გამომდინარე, ბოლოდროინდელი განცხადებები მოსალოდნელი დესტაბილიზაციის თაობაზე გასაკვირი არ არის.**

**ანზორ აბრალავა:**

— იმას, რომ არეულობა და რევოლუცია აქვს დაგეგმილი, ნაციონალური მოძრაობა არასდროს მალავდა. რიგითი ნაციონალების განცხადებებიც კი ყოველთვის ამ პათოსით იყო გაჟღენთილი. აღარაფერს ვამბობ მათ ლიდერ სააკაშვილზე, რომელიც ახალ რევოლუციას ღიად აანონსებს. ადრეც ვურჩიე ინტერვიუში სამართალდამცავებს, დაინტერესდნენ ნაცმოძრაობის ტელევიზიის დირექტორ ნიკა გვარამიას განცხადებებით. ის გამოდის, როგორც საკუთარ თავში ძალიან დაჯერებული გენპროკურორი. მას კარგად იყენებენ ისინი, ვისაც გადატრიალება აქვს ჩაფიქრებული. თუ საქართველოში რაიმე ზეწოლა ხორციელდება, ამას, პირველ რიგში, ნიკა გვარამია აკეთებს. მისი თავდაჯერებულობა იმ აუდიოჩანაწერშიც გამოჩნდა, სადაც იგი პაატა ბურჭულაძეს ესაუბრება ტელეფონით. გავრცელებისთანავე გვარამიამ, ნაციონალებმა და მათმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიწყეს ახალი შეტევა ხელისუფლებაზე. მათ ადრეც ჩაატარეს კამპანიები „ეს შენ გეხება“. ახლა ისევ ააგორეს ფარული მოსმენების თემა. მათ ყველაფერი ხელისუფლებას დააბრალეს.

***— თქვენი აზრით, ხელისუფლება ამ ფარული ჩანაწერის მოპოვება-გავრცელებაში არ მონაწილეობს?***

— ხელისუფლებას რისთვის უნდა დასჭირვებოდა ეს მოქმედებები? ერთი ამბავია ატეხილი იმაზე, თითქოს ხელისუფლება ყველას უსმენს, ასევე იმაზე, რომ ის უნიათოა და დამნაშავეებს ვერ სჯის. ხელისუფლებასთან კითხვები და პრეტენზიები ნებისმიერ მოქალაქეს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ნაციონალების ყოველი გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ გარკვეულ მიზნებს ემსახურება. ეს მათი სცენარის ნაწილებია. თუ ნაციონალები ამ არჩევნებშიც ხმებს მიიღებენ, ჩავთვლი, რომ ჩვენს საზოგადოებაში არის ხალხი, რომელიც არაფრის აზრზე არ არის. ამ ადამიანებს არ აღელვებთ არც ის, რა ხდებოდა სააკაშვილის რეჟიმის დროს და არც უახლესი ისტორია იციან.

***— უახლესი ისტორიის გაკვეთილები გაქვთ მხედველობაში?***

— მხედველობაში მაქვს ახლანდელი ნაციონალების ჯგუფი. ნაციონალებში არიან ისინი, ვინც 90-იან წლებში მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალებაში. ზოგი ძალიან ახალგაზრდა იყო, ზოგი — უფროსი. ეს ნაციონალური კი არა, ნიღბოსნური მოძრაობაა, რომელიც მუდმივად ინიღბება და გადატრიალებებს აწყობს.

***— გიგა ბოკერია განცხადებებს მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ ბოდვას უწოდებს.***

— ესეც სცენარის ნაწილია. ამითაც უნდათ ხელისუფლების დისკრედიტაცია. სინამდვილეში, ისინი ადგანან კიტოვანი-იოსელიანი-სიგუას გზას. ამის საწინააღმდეგოდ ზომებია მისაღები.

***— ხელისუფლებამ არაერთი პრევენციული განცხადება გააკეთა. არის მცდელობები, რომ არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდეს.***

— ეს კარგია, მაგრამ უფრო მკვეთრი ნაბიჯებია გადასადგმელი. სახელმწიფომ თავისი სტაბილურობა უნდა დაიცვას, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ნაციონალებთან შეკრული „ენჯეოები“ ხან შსს-ს ატერორებენ და ხან სუსის გაუქმებას მოითხოვენ.

***— გვარამია-ბურჭულაძის საუბრის გავრცელება რისთვის დასჭირდათ?***

— ეს ნაციონალურ მოძრაობას დასჭირდა რევოლუციური სიტუაციის მოსამზადებლად და ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის. ჯერ ერთი, უცხოეთს უნდა დაუმტკიცონ, რომ ხელისუფლება ყველას უსმენს, მეორეც, ამისკენ უნდა მიაპყრონ ხალხის ყურადღება ანუ საქართველოს ფარგლებს გარეთ უნდა გამოიწვიონ შეშფოთება, შიგნით კი — აღშფოთება. აქამდე ნაციონალებმა ხალხი ვერაფრით გამოიყვანეს ქუჩაში და თავიანთ მოკავშირედ ვერ აქციეს. ახლა ამას კიდევ ერთხელ ცდილობენ.

***— კიდევ რა უნდა იღონოს ხელისუფლებამ?***

— დააკავოს არეულობისა და გადატრიალების ორგანიზატორები. მთავარი რევოლუციონერი და შეიარაღებული გადატრიალების ინიციატორი ოდესაშია. უკრაინის ხელისუფლებასაც უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია და ვთხოვოთ შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამ ქვეყანაზე ყველა ვაგებთ პასუხს. ამიტომ ჩვენ, მოქალაქეებმა, უნდა შევქმნათ საზოგადოებრივი საბჭოები, რათა ნაცმოძრაობამ ვერ თავისი ჩანაფიქრი შეასრულოს.

***— პრემიერის თქმით, ქვეყანაში დაპირისპირება უნდა დამთავრდეს.***

— ეს მაშინ მოხდება, თუ სახელმწიფო დაიცავს უსაფრთხოებას, სტაბილურობას და დასჯის იმათ, ვინც დასასჯელია, ვინც იდეოლოგიურად და ორგანიზაციულად ამზადებს ახალ გადატრიალებას.

***— გვარამია-ბურჭულაძის საუბრის გამომზეურებამ დააზარალა პაატა ბურჭულაძის იმიჯი?***

— მისი იმიჯი მანამდე ბევრი გარემოების გამო შეილახა. ბურჭულაძემ ბლოკი შექმნა ისეთ პოლიტიკოსებთან, რომ ნაციონალებთან მის კავშირზე კითხვებიც აღარ უნდა დარჩეს. ეს ბლოკი იგივეა, რაც ნაციონალური მოძრაობა. რატიანი და ჯაფარიძე ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებიან. ბურჭულაძის რეიტინგი კი ადრეც



არ ყოფილა მაღალი. ეკონომიკისა და პოლიტიკის ანალიზის ცენტრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, ბურჭულაძის რეიტინგი ბოლო ერთ თვეში კიდევ უფრო დაეცა.

***— ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბურჭულაძე სააკაშვილის სატელიტი იყო, გირჩი კი ივანიშვილის პროექტია.***

— გირჩი შეიქმნა ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესების შედეგად. ეს ხრწნის პროცესია, რომელსაც ადამიანები გაერიდნენ. ამას ივანიშვილი რად უნდოდა? ისინი ისედაც ჯგუფდებიან. გირჩის ხალხი და ვაშაძე ნაციონალური მოძრაობისაგან დისტანცირებას ვერ მოახერხებენ. ისინი იქ ძალიან დიდხანს იყვნენ. ამიტომ უნდა გაიზიარონ პასუხისმგებლობა ნაციონალების უამრავ დანაშაულზე. მთლიანობაში, ნაციონალებში ხდება არა დაშლა, არამედ, გაშლა. ბურჭულაძის ბლოკი გაშლილი ნაცმოძრაობაა.

# არიელ კოენი: „აშშ-ში ახალი თაობის პოლიტიკოსებს საქართველოს მნიშვნელობა ბოლომდე არ ესმით“




ამერიკელი ანალიტიკოსების ნაწილი ფიქრობს, რომ დასავლეთისთვის და კონკრეტულად ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველოს მნიშვნელობა თანდათან იზრდება.

— საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საკვანძო მნიშვნელობის მოკავშირეა, — ამბობს ატლანტიკური საბჭოს უფროსი მკვლევარი არიელ კოენი, რომელსაც „ჰაფინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით ამერიკული რადიოსადგური ესაუბრა.

პუბლიკაციაში არიელ კოენი აღნიშნავს, რომ რუსეთს და ირანს შორის კავშირების გაღრმავების ფონზე, საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიის წამყვანი ქვეყანა, დასავლეთისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

— ახლახან პრეზიდენტების — ვლადიმირ პუტინის, ილჰამ ალიევის და ჰასან როჰანის შეხვედრის მოწმე გავხდით. რუსეთი აშკარად ცდილობს, რომ სამხრეთ კავკასიის და კასპიის რეგიონებს საკუთარი ბეჭედი კიდევ ერთხელ დაასვას... გვაქვს უზარმაზარი დესტაბილიზაცია თურქეთში... ეს ყოველივე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს და, მით უმეტეს, საქართველოს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან საქართველო სამეზობლოში ყველაზე პროდასავლური, ყველაზე დემოკრატიული და ყველაზე რეფორმირებული სახელმწიფოა.

ამასთან, ეს არის ქვეყანა, რომელსაც ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების გამოკვეთილი მიზანი აქვს, იმის მიუხედავად, თუ რა უნდა რუსეთს, ირანს და ზოგი იტყოდა, თურქეთსაც. ასე რომ, საქართველო ისტორიულად და გეოპოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია... ვაშინგტონში თითქმის 25 წელია ვიმყოფები და მაშფოთებს ის, რომ ახალი თაობის პოლიტიკოსებს, კონგრესის თანამშრომლებს, ახალგაზრდა დიპლომატებს და ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატსაც საქართველო და მისი მნიშვნელობა, შესაძლოა, ბოლომდე კარგად არ ესმოდეთ, — თქვა არიელ კოენმა „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

მანამდე კი, [როგორც ჩვენი მკითხველებისა და მსმენელებისთვისაა ცნობილი, ატლანტიკური საბჭოს კიდევ ერთ უფროს მკვლევარს, საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტს ჯორჯ ბენიტესსაც შევხვდით.

მისი აზრით, ამერიკას და საქართველოს შორის ურთიერთობის განმტკიცება ორივე ქვეყნის ინტერესებშია. რაც უფრო სტაბილური და ძლიერი იქნება საქართველო, მით უფრო ძლიერი და სტაბილური გახდება მთელი კავკასიის რეგიონი: „ამერიკამ უნდა გააგრძელოს იმ რეფორმების მხარდაჭერა, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს; გაგრძელდეს თანამშრომლობა სამხედრო სფეროში, რათა არა მარტო სამხედრო, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა მოხდეს. რაც უფრო ძლიერი და სტაბილური იქნება საქართველო, მით უფრო ძლიერი და სტაბილური გახდება მთელი კავკასია და შავი ზღვის აღმოსავლეთი. ვფიქრობ, ორივე ქვეყანას დაეხმარება, თუკი ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მთავრობასთან და ქართველ ხალხთან ურთიერთთანამშრომლობას გააღრმავებს“.

არიელ კოენი თვლის, რომ ამერიკამ საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობა უნდა გააფართოვოს და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე მისი მხარდაჭერა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს.

მაგრამ რა გზებით შეუძლია ვაშინგტონს მოვლენებზე ზემოქმედება?

— ამერიკის შეერთებული შტატები ყველა პრობლემის და ბოლო 8 წლის წინაღობის მიუხედავად, ნატო-ს წამყვანი ქვეყანა, ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოა ევრო-ატლანტიკურ სფეროში და ვიტყოდი მთელ მსოფლიოშიც. იმას, თუ რას იტყვის, ან რას იზამს ამერიკა, დიდი წონა აქვს... შეერთებულ შტატებს რომ გარკვევით ჰქონდეს ჩამოყალიბებული, თუ როგორ მოხდება საქართველოს ნატო-ში და ევროკავშირში ინტეგრაცია, მით უმეტეს, ვიზების ლიბერალიზაციის მნიშვნელოვანი ნაბიჯის ფონზე, ევროპელების დაყოლიება დიდი ალბათობით მოხდებოდა. ერთ რამეს დავამატებდი: ევროპელები რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო უკმაყოფილების გამოხატვის საბაბს ეძებენ, მათ შორის, უკრაინასთან დაკავშირებით. საქართველოსთან უფრო ახლოს მუშაობა ერთ-ერთი ასეთი სიგნალი იქნებოდა. ასევე უკრაინასთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, იქ გარდამავალი პერიოდის გათვალისწინებით და ზოგადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვან სტრატეგიულ პრიორიტეტად მიმაჩნია. ვნახოთ, რა მოხდება 2017 წლის 20 იანვრის შემდეგ, — აღნიშნავს ატლანტიკური საბჭოს ანალიტიკოსი.

2017 წლის 20 იანვარი ის დღეა, როცა პრეზიდენტი ბარაკ ობამა თეთრ სახლს დატოვებს და მის ადგილს ამერიკის შეერთებული შტატების რიგით 45-ე პრეზიდენტი დაიკავებს. ბარაკ ობამას შემცვლელის ვინაობა კი სულ ორ თვეში გვეცოდინება.

**ნიუსპრესი**

# „ოცნების“ ერთადერთი დასაყრდენი ნაციონალური მოძრაობაა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ფინანსები სჭირდებათ, ზოგსაც კავშირები აქვს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა არის ერთი ძალა. ისინი ერთმანეთს კვებავენ და ერთმანეთის გარეშე არ შეუძლიათ. დღეს „ქართული ოცნების“ ერთადერთი დასაყრდენი არის ქართველი ხალხის ზიზღი ნაციონალების მიმართ და რადგან ასე ეზიზღება ხალხს ნაციონალები, ამიტომაც ახერხებს „ოცნება“ ყელყელაობას. ამიტომაც, ივანიშვილის თამადობით, მთელი ხელისუფლება იმაზეა გადასული, რომ „ოცნებას“, ნაციონალების გარდა, კონკურენცია არავინ გაუწიოს. როგორც კი ღირსეული ძალა გამოჩნდება, მაშინვე დაიჩრდილებიან, სისხლისმსმელი რეჟიმის ფონზე შედარებით სიმპათიურად გამოიყურებიან. ხალხი ფიქრობს, რომ ნაციონალებს ისევ ეს უმაქნისები სჯობია.

***— ამ არჩევნებზეც ასე გაკეთდება არჩევანი?***

— ეს ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება.

***— ყველა გამოკითხვა მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს გადაწყვეტილი არა აქვს, თუ ვის მისცეს ხმა. თქვენი აზრით, არჩევნებზე ეს ხალხი საით წავა?***

— ნაციონალებისკენ ნამდვილად არ წავლენ. ისინი არც „ოცნებას“ დაუჭერენ მხარს. გადაუწყვეტელი ამომრჩეველი სხვადასხვა პარტიაზე გადანაწილდება. იმედი გვაქვს, ჩვენც ვიქნებით მხარდაჭერილები.

ჩვენ ხელისუფლებაც და ნაციონალებიც სერიოზულ კონკურენტებად აღგვიქვამენ და გამუდმებით თავს გვესხმიან. ჩვენ გამოვედით უბლოკო სტატუსის ინიციატივით. ხალხს უმტკიცებენ, თითქოს ეს ევროკავშირზე უარის თქმას ნიშნავს. არადა, ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ საქართველოს არჩევანი ევროპაა. ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მდგარი სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზები გავიდნენ და მისი ადგილი სხვამ არ დაიკავოს. ჩვენ ჩვენი შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე უნდა ვიზრუნოთ.

როცა დემოკრატიული მოძრაობა ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობები უნდა დავალაგოთ, მოღალატეებად გვაცხადებენ. ამ დღეებში გამოვიდა ივანიშვილი და იგივე თქვა, მეტიც, ის მზადაა, რუსეთთან დამაკავშირებელი ახალი გზა ააშენოს მამისონზე. მაინტერესებს, რას იტყვიან ამაზე მისი ე.წ. მედასავლეთე თანაპარტიელები.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ალექსანდრე ახალკაცი: „გლდანის ციხე იყო ჯოჯოხეთის თეატრი“

გულიკო ბალაძე

**როგორი იყო ჩვეულებრივი ჯოჯოხეთის თეატრი, რომელიც გლდანისა და ქსნის ციხეებში 20 წლის წარმატებულმა სტუდენტმა ალექსანდრე ახალკაცმა ნახა ნაცრეჟიმის დროს?**

ალექსანდრე ახალკაცს წიგნის („გამოცდა ხელბორკილებით“) დაწერისა და მის საფუძველზე ფილმის („ჰეროკრატიის“) გადაღების გამო ნაციონალები ახლაც ემუქრებიან. მუქარისა და ციხეში გამოვლილი ჯოჯოხეთის შესახებ ალექსანდრე ახალკაცი „ახალ თაობას“ უყვება.

***– ბატონო ალექსანდრე, თქვენი პროტოტიპი არის მთავარი გმირი ფილმისა „ჰეროკრატია“.***

– ცოცხლებიდან.

***– სცენარი აღებულია თქვენი წიგნიდან „გამოცდა ხელბორკილებით“, რომელიც ციხეში დაწერეთ. რატომ დაარქვით წიგნს ასეთი სათაური?***

– წიგნს ვქმნიდი პატიმრობის პერიოდში, 2010-2011 წლებში. ციხიდან უნივერსიტეტში ჩავაბარე გამოცდები. რეჟიმმა ჩემ წინააღმდეგ დაარღვია კონსტიტუცია და კანონები, კანონით გათვალისწინებული არცერთი უფლების განხორციელების საშუალება არ მომცა. პირველად მაშინ დაარღვია ჩემი უფლებები, როცა დამაპატიმრა, მეორედ, როცა ციხიდან უნივერსიტეტში ჩავაბარე.

***– ჩააბარეთ და სასწავლებლად არ გაგიშვეს?***

– დიახ.

***– რომელ უნივერსიტეტში ჩააბარეთ?***

– გიული ალასანიას უნივერსიტეტში.

***– ალასანიას უნივერსიტეტი რატომ აირჩიეთ?***

– ძალიან მომწონდა. „კარგი შვილის“ დედის უნივერსიტეტი რომ იყო, ამიტომ მომეწონა. „გამოცდა ხელბორკილებით“ არის წიგნი ზოგადად გამოცდაზე და არა მხოლოდ იმაზე, რომ ციხიდან ბორკილებით ჩავაბარე გამოცდები. თავისუფალ უნივერსიტეტში ეროვნულ გამოცდებზე ხელებზე ბორკილდადებული დავყავდი. ეს იყო ჩემი გამოცდა ბორკილებით, რადგან მე ვიყავი პატიმარი. როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში გამოცდები კარგად ჩავაბარე. მათ ერთი ომი მოვუგე. წიგნი საფუძვლად დაედო „ჰეროკრატიის“ იმ ეპიზოდებს, რომლებიც ჩემზეა. „ჰეროკრატიის“ პირველი და მეორე სერია სრულდება იქ, სადაც მე ტუბზონას მისჯიან.

***– მისჯა რატომ?***

– მისჯაა იმიტომ, რომ მე არ ვიყავი ტუბერკულოზით დაავადებული და უნდოდათ, იქ მომხდარიყო ჩემი ლიკვიდაცია. წიგნში ბევრად მეტი მაქვს ნათქვამი, ვიდრე ფილმშია. წიგნში ტუბზონის ამბებიც მაქვს აღწერილი.

***– რატომ დაგაპატიმრეს? ფილმის გმირი ხომ სტუდენტია.***

– დაახლოებით იმიტომ დამაპატიმრეს, როგორც ფილმშია. დამაპატიმრეს ჩეგევარობისთვის.

***– ჩეგევარობისთვის?***

– დიახ, იქ არის ერთი ეპიზოდი, ჩეგევარობა რომ მოინდომე და ჩვენს საქმეში ცხვირი ჩაყავი, აბა, რა გეგონაო. მე ვიყავი აქტიური სტუდენტი, თვითმმართველობასთან მომიხდა დაპირისპირება.

***– სტუდენტი იყავით, დაგაპატიმრეს და მერე ისევ ჩააბარეთ?***

– დიახ. თსუ-ში საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე ვსწავლობდი 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით. დავუპირისპირდი უნივერსიტეტის თვითმმართველობას იმიტომ, რომ იყვნენ არაკაცები და არაადამიანები, რომლებიც სტუდენტებს სცემდნენ განსხვავებული აზრის გამო.

***– ვინ წარმოადგენდა თვითმმართველობას?***

– თვითმმართველობაში იყვნენ ჩვეულებრივი სტუდენტები: გიორგი ავალიანი (ნაციონალების ხელდასხმული), მისი მოადგილე, მეგრელიშვილი, ცნობილი კმარელი. ეს ადამიანები მიზანმიმართულად ცდილობდნენ, სტუდენტები თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ, ერბენინებინათ აქციებზე, მიშა, მიშა ეძახებინათ, შემდეგ კი 10-10 ლარი ეჩუქებინათ დამსახურებისთვის. ეს ჩემთვის ყოვლად მიუღებელი იყო და დავუპირისპირდი. თვითმმართველობასთან ბრძოლაში გამობრძმედილ სტუდენტებს ცოტნე ზურაბიანსა (ახლა წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია „ოცნების“ გუნდიდან. ის არის ჩემი მეგობარი და რეჟიმთან შეურიგებელი პიროვნება) და პატარაიას თავიდანვე შევუერთდი. მათ შორის ყველაზე პატარა ვიყავი, 18 წლის. ისინი 25 წლის ბიჭები იყვნენ.

***– პოლიციის განყოფილებაში მართლა ისე გექცეოდნენ – თავზე გაწვებოდნენ, გირტყამდნენ და გცემდნენ?***

– მცემდნენ ძალიან მაგრად. ტუალეტში შემიყვანეს და ძალიან მაგრად მცემეს. შეყვანისთანავე მცემა ისანი-სამგორის რაიონის მთავარმა პროკურორმა გაგნიძემ.

***– რა უნდოდა?***

– აღიარებითი ჩვენება, რომ ამბოხებული სტუდენტების უკან იდგა რომელიმე ოპოზიციური პოლიტიკური პარტია. ეს უნდა მეთქვა საჯაროდ, რაც არ გავაკეთე. შემდეგ უკვე ამას აღარ დასჯერდნენ.

***– რომელი პოლიტიკური პარტიის დასახელებას გთხოვდნენ?***

– მთავარია, რომელიმე ოპოზიციურ პარტიაზე მეთქვა. რამდენადაც მახსოვს, მაშინ რესპუბლიკურ პარტიაზე ჰქონდათ გართულება და მაიძულებდნენ მეთქვა, რომ სტუდენტების უკან რესპუბლიკური პარტია იდგა. ამას ვიდეოზე გადავიღებთ, შემდეგ პრესკონფერენციას მოგიწყობთ, თვითმმართველობის პრეზიდენტსაც შენ გაგხდით და ხელშეუხებელი იქნებიო. უარი ვთქვი. მცემეს, თავი გამიტეხეს. ნაჭრილობევი თავზე დღესაც მეტყობა. თავზე ჭრილობა სახსოვრად დამრჩა. იმ დროს ძალიან დიდი არეულობა იყო. მე რომ დამაპატიმრეს, იმ დღეს ოქრუაშვილიც დააპატიმრეს.

***– დაპატიმრების მიზეზი რა იყო?***

– თითქოს მეგობარ გოგონას, რომელიც ჩემთან ერთად იყო იმ დღეს და რომელიც სინამდვილეში პოლიციის შემოგზავნილი აგენტი გახლდათ, მობილური ტელეფონი წავართვი.

***– ამ გოგონამ სასამართლოზე თქვა, ტელეფონი წამართვაო?***

– დიახ, თქვა. სასამართლოზე ისიც თქვა, გაუშვითო. ძალიან ბევრი იბოდიალა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ იმ დღეს, როცა თითქოს მობილური ტელეფონი გოგონას წავართვი, შემდეგ კი წავედი და გავყიდე, მარჯანიშვილის თეატრში კახა ლომაიამ წლის საუკეთესო მოთხრობისთვის დამაჯილდოვა ფულადი პრემიითა და სიგელით. ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, იმ დღეს წავსულიყავი და ტელეფონი გამეყიდა. სინამდვილეში ტელეფონი არაფერ შუაში იყო.

***– დაჯილდოება ალიბი არ იყო?***

– რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ მაშინ ალიბს ვინ დაეძებდა. მერე შეცვალეს, ნათლისღების დღეს მოხდა ავლაბარშიო, სადაც ადამიანზე მეტი პატრულის წარმომადგენელია მობილიზებული. ასეთ ვითარებაში თუ ვინმე ვინმეს დააყაჩაღებს, გმირია, მედალი უნდა ჩამოჰკიდო.

ჯერ ორთაჭალის ციხეში გამიშვეს, შემდეგ კი – გლდანის ციხეში და დავიწყე მოგზაურობა ბაჰამის კუნძულებზე.

***– რა იყო გლდანში?***

– გლდანში იყო ის, რაც ფილმში ნახეთ გამრავლებული 100-ზე.

***– ანუ?***

– ანუ გლდანში იყო ჩვეულებრივი ჯოჯოხეთის თეატრი. ყოველ წამს გვესმოდა ვიღაცის კივილი, ვიღაცის წივილი, მიშველეთ, ნუ მცემთ, ნუ მკლავთო.

***– ყოველ წამს სცემდნენ ადამიანებს?***

– დიახ, ყოველ წამს სცემდნენ. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ პოლიციის თანამშრომლები ბოლო ხმაზე გველაპარაკებოდნენ. რატომ, არ ვიცი. საათი რომ გეკითხა, ბოლო ხმაზე გვპასუხობდნენ. 12 კვ მ-ში ხარ მოთავსებული და ვიღაც ყოველ წუთში გზაფრავს, ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს.

***– ფილმის გმირს სურს, სინდისი გაუღვიძოს პოლიციელებს და ეძახის, ადამიანები არ ხართო?***

– სინამდვილეშიც ასე იყო. უბრალოდ, დგება მომენტი, როცა ამოგასხამს, რომ არ თქვა, არ შეგიძლია. ამის გამო სასტიკად მცემეს, შემთხვევით გადავრჩი და გამიშვეს ტუბზონაში, საიდანაც ადამიანები ცოცხლები ვერ გამოდიოდნენ. სამწელიწად-ნახევარი ტუბზონაში ვიყავი. სხვათა შორის, იქ გავიცანი მამუკა ტუსკაძე. მისი მოკვლა უნდოდათ და აწამებდნენ.

***– 2012 წლის არჩევნებს ციხეში როგორ შეხვდნენ?***

– არჩევნების წინ ტუბზონიდან სახლში ოჯახის წევრებს დავურეკე, აუცილებლად „ოცნებას“ მიეცით ხმა, რომ ეს სისხლიანები წავიდნენ-მეთქი.

***– ამით რაიმე პრობლემა შეგექმნათ?***

– მეორე დღეს, დილით, ახალი ქსნის ზონაში გადამიყვანეს და ჭიშკართან უმოწყალოდ მცემეს დირექტორმა თოლორდავამ, მისმა მოადგილემ და კიდევ 14-მა ადამიანმა. ეს 2012 წლის აგვისტოს ბოლოს იყო.

***– წითელი პარასკევი თქვენც გაიარეთ?***

– რა თქმა უნდა. კარანტინში 40 დღის განმავლობაში უამრავი ადამიანი ჰყავდათ. ფეხზე დასადგომი ადგილიც კი არ იყო. უწყლოდ და უყველაფროდ იყვნენ იქ ადამიანები. განადგურებულები ამოჰყავდათ იქიდან და იწყებოდა ე.წ. კარანტინის დაშლა. ციხის ადმინისტრაცია, თანამშრომლები მობილიზებულნი იყვნენ და თითოეულ პატიმარს უსწორდებოდნენ. იატაკს სახით აგლეჯინებდნენ. ადამიანების მიმართ ყველანაირ დამამცირებელ ქმედებას ჩადიოდნენ.

***– ხაინდრავამ განაცხადა, რომ ფილმი გადაიღო სააკაშვილის მიერ ოპოზიციისთვის აშენებულ ახალ ციხეში, სადაც კედლები, იატაკი გაპრიალებული ჩანს. მგონი, სინამდვილეში გლდანის ციხე ისეთი გაპრიალებული არ იყო.***

– გლდანის ციხე სინამდვილეშიც ისეთი იყო, როგორიც ფილმშია, თუმცა რამდენიმე თვეში კედლები პატიმრების სისხლით შეიღება. ყოველ საღამოს 12-14 თანამშრომელი მოდიოდა 6 კაცზე – სცემდნენ უმიზეზოდ. ლატარიას თამაშობდნენ. დაიძახებდნენ, რომელ საკანში შევდივართო? – 2015-ში. შევიდოდნენ, სცემდნენ, შემდეგ დაიძახებდნენ, რომელ საკანში მივდივართო? შევიდოდნენ, სცემდნენ... გააღებდნენ ე.წ. ფორტოჩკას, დაიძახებდნენ, თქვენი დედაო და წავიდოდნენ. შეგინება უარესი იყო. ყველა თანამშრომელი ყვიროდა ბოლო ხმაზე. თანამშრომლები დამუშავებული ჰყავდათ. მათ მიერ პატიმრების ცემის ფაქტი ვიდეოებზე ჰქონდათ გადაღებული. თუ კიდევ არ სცემდნენ, ეტყოდნენ, დაგიჭერთო.

***– პოლიტიკური პროცესები როგორ ჩანდა შიგნიდან?***

– მე ყველა პოლიტიკურ პროცესს აღვწერდი. პატიმრებს უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე გარეთ ადამიანებს. ისინი ყველაზე მეტად იყვნენ ინფორმირებულნი გაზეთებით, ტელევიზიით, რადიოთი.

***– ყველაზე მეტად რა გახსენდებათ ციხიდან?***

– ციხეში წავიკითხე უთვალავი წიგნი. საშუალოდ დღეში ერთ წიგნს ვკითხულობდი, რასაც გარეთ ვერ წავიკითხავდი. რამდენიმე რომანი და 50-ზე მეტი მოთხრობა დავწერე, რომლებმაც ციხიდან პრიზები მოიგეს.

18 სექტემბერს, ჩემი დაბადების დღეს, გაავრცელეს ციხის კადრები. შუადღის შემდეგ შემოვიდა პატრული და ციხის კონტროლი თავის თავზე აიღო, თანამშრომლები კი იქაურობას გაარიდეს. მაშინდელი სახალხო დამცველის ტუღუშის (ახლა ნაცმოძრაობიდან რომ იყრის კენჭს) თანამშრომლები ჩვენს საჩივრებს ციხის ადმინისტრაციაში ტოვებდნენ.

***– ახლა როგორ გხვდებიან ადამიანები?***

– ადამიანები დიდი სიყვარულით მხვდებიან. ბევრი მწერს, მეუბნებიან, რომ ჩემ მიმართ ძალიან დიდი სითბო და პოზიტივია, თუმცა არის ნეგატივიც იმ ერთეული ადამიანებისაგან, რომლებიც სააკაშვილის თავგადაკლული ფანები არიან და ვერ ეგუებიან იმას, რომ ასე ღიად დავუპირისპირდი.

***– გემუქრებიან?***

– არაპირდაპირ. პირდაპირი მუქარები ჯერ არ ყოფილა, მაგრამ ინფორმაცია მაქვს. ნაცმოძრაობიდან რამდენიმე პიროვნება დამიკავშირდა და მითხრა, რომ ისინი ჩემ წინააღმდეგ არიან დარაზმულები და ფრთხილად ვიყო.

***– ვინ დაგიკავშირდათ?***

– მიკავშირდებიან საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები ნაცმოძრაობიდან. არ მინდა, მათ პრობლემა შევუქმნა. ისეთი ნომერი აქვს საარჩევნო სიაში, ალბათ, პარლამენტის წევრი გახდება. ჩემი წიგნი ნაციონალურ რეჟიმს ეძღვნება. რეჟიმის საშინელებები დოკუმენტურად არის აღწერილი. წიგნი ყველა წიგნის ფესტივალზე გაიგზავნება. მისი ინგლისური ვერსია იქნება ყველა ინგლისურენოვან საიტზე. ამიტომ ინგლისურენოვან მკითხველს ევროპიდან და ამერიკიდან მისი წაკითხვის საშუალება ექნება.

**ნაცმოძრაობიდან რამდენიმე პიროვნება დამიკავშირდა და მითხრა, რომ ისინი ჩემ წინააღმდეგ არიან დარაზმულები და ფრთხილად ვიყო.**



**გლდანის ციხე სინამდვილეშიც ისეთი იყო, როგორიც ფილმშია, თუმცა რამდენიმე თვეში კედლები პატიმრების სისხლით შეიღება. ყოველ საღამოს 12-14 თანამშრომელი მოდიოდა 6 კაცზე – სცემდნენ უმიზეზოდ. ლატარიას თამაშობდნენ. დაიძახებდნენ, რომელ საკანში შევდივართო? შევიდოდნენ, სცემდნენ, შემდეგ დაიძახებდნენ, რომელ საკანში მივდივართო? შევიდოდნენ, სცემდნენ... გააღებდნენ ე.წ. ფორტოჩკას, დაიძახებდნენ, თქვენი დედაო და წავიდოდნენ. შეგინება უარესი იყო**

# შტაინმაიერი და ერო დონბასში ჩავიდნენ



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი და მისი ფრანგი კოლეგა ერო დონბასში ჩავიდნენ. მათ მოინახულეს რუსი ოკუპანტებისაგან გაწმენდილი ტერიტორია, მათ შორის ქალაქები კრამატორსკი და სლავიანსკი. ქალაქების მისადგომებთან პიკეტი დახვდათ. „ძირს სეპარატიზმი! გაუმარჯოს დამოუკიდებელ ერთიან უკრაინას! გააუქმეთ დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკები!“ – დიდი ასოებით ეწერა პლაკატებზე.

– შტაინმაიერსა და ეროს ასეთი პიკეტის დანახვა აშკარად არ ესიამოვნათ. მათ მოპიკეტეებთან კონტაქტში შესვლა არ უცდიათ, – იტყობინება 112 არხი.

სტუმრებს კრამატორსკის დანგრეული ხიდი აჩვენეს. ქალაქი ხომ ხელიდან ხელში რამდენჯერმე გადავიდა. შტაინმაიერი შეძრწუნებული იყო:

– ის, რაც ვნახეთ, წარმოუდგენელია! – განაცხადა მან.

მოგვიანებით ჟურნალისტებთან საუბარში შტაინმაიერმა აღნიშნა, რომ დონბასის მთელი ინფრასტრუქტურა განადგურებულია, ეკონომიკა აღარ არსებობს. მოსახლეობის დიდი ნაწილი გახიზნულია. გარბიან იქ, სადაც მოუხერხდებათ. ზოგი მეზობელ რუსეთს აფარებს თავს, ზოგიც კიევსა თუ ლვოვში მიემგზავრება. გერმანელმა მინისტრმა აღიარა, რომ ამ ეტაპზე დონბასში რაიმე არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. აუცილებელია დამყარდეს მყარი მშვიდობა, მოხდეს დაპირისპირებულ მხარეთა გაშორიშორება, გაინაღმოს გზები. ამის შემდეგ უნდა ჩატარდეს არჩევნები, განისაზღვროს დონბასის სტატუსი.

– დონბასს სტატუსი აუცილებლად უნდა მიეცეს, – განაცხადა შტაინმაიერმა.

ამ სიტყვებმა უკრაინელებში აღშფოთება გამოიწვია. ცნობილმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა მუსტაფა ნაიომმა განაცხადა, რომ მინსკის ხელშეკრულებები როგორც უკრაინამ, ისე რუსეთმაც უნდა შეასრულონ და მხოლოდ უკრაინის მიერ მისი შესრულება მშვიდობის გარანტი ვერ იქნება. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირინა გერაშჩენკომ კი, რომელიც სახელისუფლებო კოალიციის წევრია, თავის ფეისბუკში ჩაწერა:

– საწყენია, რომ სტუმრებმა მხოლოდ სლავიანსკი და კრამატორსკი დაათვალიერეს! მათ ავდეევკა და შიროკინოც უნდა მოენახულებინათ. ამის შემდეგ უბრალოდ ენა აღარ მოუბრუნდებოდათ, რომ ეთქვათ, დონბასში არჩევნები ჩაატარეთო!

თანახმად უკანასკნელი მონაცემებისა, უკრაინელთა 70 პროცენტი დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების წინააღმდეგია. პარლამენტში კონსტიტუციის შესაცვლელად აუცილებელი 300 ხმის შეგროვება შეუძლებელია. თუმცა, შესაძლოა, მოიძებნოს კომპრომისული ვარიანტი, შეგროვდეს არა 300, არამედ 226 ხმა, რაც დონბასში არჩევნების ჩატარების ან იქ მმართველობის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღებისთვისაა აუცილებელი. ამას შესაძლოა მხარი დაუჭირონ პრორუსულმა ოპოზიციურმა ბლოკმა და მათმა მოკავშირე ფრაქციებმა („ნაშ კრაიმ“ და ა.შ.), აგრეთვე პეტრო პოროშენკოს ბლოკის ცალკეულმა წევრებმა. თუმცა ცხადია, რომ ამით სეპარატისტები და მათი მოსკოველი მფარველები არ დაკმაყოფილდებიან, ხოლო დონბასის განსაკუთრებული სტატუსის მოწინააღმდეგენი კი ხალხს ქუჩაში გამოიყვანენ. უმუშევრობით, სიღატაკით, გამძაფრებული კრიმინოგენული სიტუაციით გამწარებული ხალხი მართლაც გამოვა, რაც ხელისუფლებისათვის სავალალოდ დასრულდება.

– ე.წ. კომპრომისული გადაწყვეტილებით დონბასში მშვიდობა ვერ დამყარდება, უკრაინას კი დესტაბილიზაციის ახალი ტალღა მოედება, – თვლის პეტრო პოროშენკოს ბლოკის წევრი ალექსეი გონჩარენკო.

დონბასში სიჩუმის რეჟიმმა ერთ დღესაც კი ვერ გაძლო. გასულ ღამეს სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა უკრაინელებს ცეცხლი 30-ჯერ გაუხსნეს. დონბასის პრობლემა კვლავაც მოუგვარებელია. პრეზიდენტმა პოროშენკომაც განაცხადა, რომ რუსეთი მინსკის ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებს და ასეთ პირობებში არავითარ არჩევნებზე ან დონბასის რაიმე სტატუსზე ლაპარაკიც კი შეუძლებელიაო.

– რუსეთმა უკრაინიდან ჯარი უნდა გაიყვანოს, – თქვა პოროშენკომ.

## ჰილარი კლინტონი თავს ჩინებულად გრძნობს და პოროშენკოსთან შეხვედრას აპირებს

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა ჰილარი კლინტონმა საარჩევნო კომპანიაში მონაწილეობა განაახლა. ის ჩრდილოეთ კაროლინაში გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა. ხალხი მის გამოჩენას ოვაციებით შეხვდა. გაისმოდა სკანდირება: ჰილარი, ჰილარი!

– თავს ჩინებულად ვგრძნობ! ჩვენ გავიმარჯვებთ! – თქვა მისის კლინტონმა.




აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა განაცხადა, რომ თვის ბოლომდე აპირებს უკრაინის პრეზიდენტს შეხვდეს.

– ბატონ პოროშენკოსთან შეხვედრა ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა განსხვავებაა ჩემსა და მისტერ ტრამპს შორის, რომელიც რუსეთს მხარს უჭერს, – აღნიშნა ჰილარი კლინტონმა.

## თეთრი სახლი: ბელორუსში სასიკეთო ძვრები დაიწყო



თეთრი სახლის წარმომადგენელმა მარკ ტონერმა განაცხადა, რომ ბელორუსში სასიკეთო ძვრები დაიწყო.

– პარლამენტში ორი ოპოზიციონერი მაინც მოხვდა. ეს უდავო პროგრესია, რადგანაც ადრე ვერც ერთი ოპოზიციონერი ვერ ხვდებოდა, – თქვა ტონერმა.

ამავე დროს თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბელორუსს სრულფასოვან დემოკრატიამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

– ჩვენც ჯერ ვერ გადაგვიწყვეტია, ღირს თუ არა ბელორუსში ჩვენი ელჩის დაბრუნება, – განაცხადა ტონერმა.

## შეტაკებები პარიზში



საფრანგეთის დედაქალაქში პროფკავშირების მიერ ორგანიზებული 40.000-იანი დემონსტრაცია შედგა. არეულობის პროვოცირება თავად მანიფესტანტებმა მოახდინეს. პოლიციის გამოჩენისთანავე მათ ქვები დაუშინეს. პასუხად პოლიციელებმა ხელკეტები და ცრემლმდენი გაზი გამოიყენეს.

–შედეგად დაშავდა 6 ადამიანი, აქედან 5 პოლიციელია, – იტყობინება ბიბისი.

დაკავებულია 12 დემონსტრანტი.

## რუსებს საპროტესტო აქციებში მონაწილეობა არ სურთ



თანახმად ლევადა-ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვისა, რუსეთის მოქალაქეთა უმრავლესობა საპროტესტო აქციებში მონაწილეობას არ აპირებს. 62 პროცენტი თვლის, რომ აქციებით ვერაფერს მიაღწევენ, 12 პროცენტი მიიჩნევს, რომ დღეს სამშობლოს უჭირს. სხვებისათვის ყველაფერი სულ ერთია. ისინი თვლიან, რომ პუტინი ხალხს ატყუებს და ძარცვავს, მაგრამ ოპოზიციაც ცრუობს. მას მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლა სურს, რათა ხალხი თავად გაძარცვოს და გაყვლიფოს.

– აქციებში მონაწილეობის მიღებას მხოლოდ 10 პროცენტი აპირებს, – იტყობინება ლევადა-ცენტრი.

## რუსეთში სტალინის ძეგლების დადგმა გრძელდება



სურგუთში (რუსეთი) სტალინის ძეგლი გაჩნდა. ის ადგილობრივმა კომუნისტებმა აღმართეს. რუსეთის კომპარტიის ლიდერის გენადი ზიუგანოვის აზრით, ხალხმა ძეგლის დასადგმელი ფული თავად შეაგროვა.

– ვილაც-ვილაცები აპირებდნენ ე.წ. „სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა“ მემორიალი დაედგათ. მოსახლეობამ სხვაგვარად განსაჯა. იმ ადგილას, სადაც რეპრესიების მსხვერპლთა მემორიალი უნდა აღმართულიყო, სტალინის ძეგლი აღიმართა, – თქვა ზიუგანოვმა.

სტალინის ძეგლის თემა ნტვ-ზე გამართულ თოკ-შოუში კინაღამ ხელჩართული შეტაკების საბაბი გახდა. რუსეთის კომპარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, ხალხს სტალინი იმდენად უყვარს, რომ ძეგლებს უდგამსო. ამაზე უკრაინის წარმომადგენელმა მიუგო:

– ეს თქვენთან, რუსეთშია ასე! იმიტომ, რომ ავადმყოფი ერი ხართ!

ამის შემდეგ მოკამათეთა გაშველება გახდა საჭირო.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## ამერიკელმა წყვილმა ძაღლებისთვის უზარმაზარი საწოლი გააკეთა



ამერიკის ნიუ იორკის შტატის მცხოვრებმა ცოლქმარმა უზარმაზარი საწოლი გააკეთა, რომელზეც ისინი თავიანთ რვა ძაღლთან ერთად დაიძინებენ.

კრის და მარისა ჰიუგსებმა შექმნეს პროექტი, რომლის ფარგლებშიც ისინი ცხოველთა თავშესაფრებში მყოფ ძაღლებს პატრონების პოვნაში ეხმარებიან. თავად წყვილს თავშესაფრიდან რვა ძაღლი ჰყავს წამოყვანილი, რომლებსაც ახალ საწოლში მათთან ერთად სძინავთ. ასევე წყვილმა დაამზადა კიბე, რათა ყველა ძაღლმა დამოუკიდებლად შეძლოს საწოლზე ასვლა.

ახალი საწოლისთვის ჰიუგსებს ორი მატრასი დასჭირდათ. მათ საწოლის სურათები სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოაქვეყნეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ექიმიპროფესიონალივმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ავთანდილ აბესლამიძემ და გიგი ადამაშვილმა კუთვნილი პრიზები მიიღეს



„იქს ფაქტორის“ ფინალისტებმა ავთანდილ აბესლამიძემ და გიგი ადამაშვილმა პროექტში მოგებული კუთვნილი პრიზები ოფიციალურად მიიღეს.

სალვუს დეველოპმენტმა გიგი ადამაშვილს ყოველთვიური სტიპენდია დაუწესა, ავთანდილ აბესლამიძეს კი ვაკეში ბინა აჩუქა. დოკუმენტაციის მიღებისთანავე ავთო ოფიციალურად გახდა ვაკის მცხოვრები. მას შატბერაშვილის ქუჩაზე მშენებარე კუთვნილი სახლი კომპანიის არქიტექტორმა პირადად დაათვალიერებინა. 24 წლის ბათუმელმა იქს ფაქტორის გამარჯვებულმა არქიტექტორთან ერთად კუთვნილ ბინაში შესწორებები შეიტანა.

გიგი ადამაშვილს კი კომპანია ყოველთვიურ სტიპენდიას სექტემბრიდან გადასცემს. ამ თანხით გიგის საკუთარ სიმღერაზე ვიდეო რგოლის გადაღება სურს.

# თემო არაბიძეს თბილისში პრობლემები შეექმნა



პროექტ „ნიჭიერის“ გამარჯვებულს თემო არაბიძეს თბილისში პრობლემები შეექმნა. ის თავისუფლების მოედანზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის არქონის გამო, გზაზე გადადიოდა, რა დროსაც რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა მას მიწისქვეშა გადასასვლელით სარგებლობა ურჩია. თემო არაბიძე გარემოს შეცვლაზე საუბრობს, რათა მსგავსი ფაქტი სხვა ეტლით მოსარგებლეებს აღარ შეექმნათ.

**თემო არაბიძე:**

– თავისუფლების მოედანზე გადავდიოდი გზაზე, სადაც ყველა ავტომობილმა გზა დამითმო. სანამ გზის გადაკვეთას დავასრულებდი, მერსედესის მარკის ავტომობილიდან ხელების შლით მანიშნებდა მძღოლი რაღაცას. მივედი და ვკითხე, რა ხდება?

– გზაზე რატომ გადმოდიხარო?

მე ვუპასუხე: – მეტი გზა მე არ მაქვს, დანიშნულების ადგილზე რომ მივიდე-თქო!

– მიწისქვეშა გადასასვლელით გადადიო.

მე ვუპასუხე, ადაპტირებული გარემო არ გვაქვს ეტლით მოსარგებლეებს, რომ ვისარგებლოთ.

– რატომ გადმოდიხარ მერე აქო? – ვკითხე – სადაური ხარ-მეთქი?

– ქართველი ვარ, რუსეთში ვცხოვრობდიო.

მე გავუმეორე, რომ ადაპტირებული გარემო არ მაქვს, რომ ვისარგებლო პანდუსით და მიწისქვეშა გადასასვლელით.

ვერ გაიგო მაინც.

– მე ქართველობას ვერ მასწავლიო და ა.შ.

– არც ვაპირებ, შენ გასწავლო რამე-თქო!

უბრალოდ ავუხსენი, რაც ხდება საქართველოში მოკლედ ამ მხრივ... მაინც ვერ მიხვდა.

თქვენ რას იტყვით, მეგობრებო? ვინ უნდა შეცვალოს გარემო, რომ მსგავსი ფაქტი სხვა ეტლით მოსარგებლეს არ შეხვდეს?!.....

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი**

# ა ც ხ ა დ ე ბ ს

**ღია კონკურსს**

აფეთქების ტექნოლოგიების განყოფილების მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად

**კონკურსის პირობები**

**კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:**

1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენასა და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან/და ატვირთონ PDF ფორმატში:**

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ ვებგვერდზე www.mining.org.ge);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს.
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტებისა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებმაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა, მისამართი).

– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში მისამართზე – ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7, ოთახი 216 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე tmi@mining.org.ge 2016 წლის 17 ოქტომბრის 10 საათიდან 26 ოქტომბრის 17 საათამდე.

– კონკურსი გაიმართება 2016 წლის 28 ოქტომბერს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი**
**გიორგი ქართველიშვილი**
**ტელეფონი 577 39 25 48**
**tmi@mining.org.ge (კონკურსები)**

## მოდელი ეშლი გრეჰემი მოდის კვირეულზე საცვლებით გამოვიდა



ფუმფულა ტანის მქონე მოდელი ეშლი გრეჰემი ნიუ იორკში მიმდინარე მოდის კვირეულის ფარგლებში პოდიუმზე საცვლებით გამოვიდა. გოგონამ აღნიშნულ ღონისძიებაზე გადაღებული ფოტოსურათი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ფოტოსურათისთვის თანდართულ წარწერაში მოდელმა აღნიშნა, რომ ის უკვე ზედიზედ მეორე წელია მოდის კვირეულში მონაწილეობს. მან, ამავე დროს, იმ ქალებსა და გოგონებს მიმართა, რომლებიც შიშობენ, რომ ტანსაცმლის ზომამ მათ შესაძლოა ხელი შეუშალოთ სამოდელო ან სატელევიზიო კარიერაში.

აღსანიშნავია, რომ მოდის ჩვენებაში სხვა ფუმფულა ტანის მქონე მოდელებმაც მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის ტარა ლინიმ, ჯორდინ ვუდსმა, საბინა კარლსონმა და სხვებმა.

## დაუნის სინდრომის ავსტრალიელმა ფეისბუქელებს გული აუჩვილა



ავსტრალიელმა ედისონ კუინმა, რომელიც დაუნის სინდრომითაა დაავადებული და სამუშაოს ეძებს, ფეისბუქის მომხმარებლებს გულები მას შემდეგ აუჩუყა, რაც 16 წლის მოზარდის დედამ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მისი ფოტო და სამოტივაციო წერილი პოტენციური დამსაქმებლებისთვის.

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის მცხოვრებმა ქალბატონმა შვილის სურათი, რომელზეც მას მუშაობის დაწყების თხოვნის შემცველი წერილი უჭირავს ხელში, სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ატვირთა.

კოლეჯის მოსწავლე კუინმა შეადგინა მიმართვა, რომელშიც ჩამოთვალა ის, რისი გაკეთებაც ეხერხება, მათ შორის მაგიდების დალაგება და იატაკის მოწმენდა. მან დააზუსტა, რომ სამუშაოს დასვენების დღეებისთვის ეძებს. ასევე მან აღიარა, რომ მეტყველების პრობლემები აქვს, მაგრამ მზად არის, ხელმძღვანელების დავალებების მიხედვით იმოქმედოს და ადამიანებთან ურთიერთობა კარგად გამოსდის.

– სახლში მე თავად ვრეცხავ საკუთარ ტანსაცმელს და ვფენ, გამაქვს ნაგავი და ვაპურებ ძაღლს, – დაწერა კუინმა.

ადგილობრივი პრესის ცნობით, მოზარდმა უამრავი წინადადება მიიღო იმ ადამიანებისგან, რომლებმაც მისი მიმართვა ნახეს. მან „მაკდონალდსის“ მიწვევა მიიღო.

## ვიწროკაბიანი მასწავლებლის სურათმა ინტერნეტში დიდი კამათი გამოიწვია



კაბამ, რომელიც ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა ჩაიცვა და ასე გამოწყობილი მივიდა სამსახურში, სოციალური ქსელების მომხმარებელთა შორის დიდი კამათი გამოიწვია. მასწავლებელმა საკუთარი ფოტო, რომელზეც ტანზე შემოტმასნილ კაბაშია გამოწყობილი, ინსტაგრამში განათავსა.

მას შემდეგ, რაც პატრის ბრაუნის ფოტოსურათი, რომელიც სკოლაში გაკვეთილის მიმდინარეობისას არის გადაღებული და სოციალურ ქსელში იქნა ატვირთული, ინტერნეტმომხმარებლებმა მას „მსოფლიოში ყველაზე სექსუალური მასწავლებელი“ უწოდეს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთებმა, რომლებმაც მასწავლებლის სურათი ნახეს, უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს. მათ ჩათვალეს, რომ მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილს 9-10 წლის ბავშვებს უტარებს, შეუფერებლადაა გამოწყობილი.

თუმცა სხვა ინტერნეტმომხმარებლებმა ბრაუნის მიმართ სრული მხარდაჭერა გამოხატეს და მოწინააღმდეგენი სექსუალიზაციასა და მასწავლებლის კანის ფერის გამო შევიწროებაში დაადანაშაულეს.

## კეიტ მიდლტონი ბრიტანეთის მოდის ხატად აღიარეს



კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინი დიდ ბრიტანეთში ყველაზე გავლენიან მოდის ხატად აღიარეს. ამ საკითხზე გამოკვლევა ლონდონის მოდის კვირეულის დაწყებამდე ჩატარდა.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ქალების 29 პროცენტს სურს, ისევე ეცვას, როგორც აცვია პრინც უილიამის მეუღლეს.

ყოფილი მის მიდლტონის გარდა, სიაში ასევე მოხვდნენ მომღერლები რიტა ორა და ელი გოლდინგი, მსახიობი ემა უოტსონი, ბლოგერი ზოი საგი, რომელიც უფრო მეტად ზოელას სახელითაა ცნობილი.

ასევე აღმოჩნდა, რომ სოციალური ქსელები სერიოზულ გავლენას ახდენს ბრიტანელების შოპინგზე. გამოკითხვის მონაწილე ქალთა 26-მა პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი ყიდულობენ ამა თუ იმ ნივთს იმიტომ, რომ რაღაც მსგავსი მათ ნახეს ტვიტერში ან ფეისბუქში ნაცნობების ან ცნობილი პიროვნებების გვერდზე.

## პორტუ ევროპული შოპინგის ახალ დედაქალაქად აღიარეს

ევროპული შოპინგის ახალ დედაქალაქს პორტუ წარმოადგენს. ამ ინფორმაციას ბლუმბერგი ავრცელებს. სააგენტო აღნიშნავს, რომ ამ პორტუგალიურ ქალაქს უსამართლოდ არ აქცევდნენ ყურადღებას, თუმცა ის მოდის მიმართულების მიმცემია იმაში, რაც დიზაინს ეხება. ახლა კი უკვე სულ უფრო მეტად ექცევა შოპინგის მოყვარულთა დაინტერესების სფეროში. აქ შეიძლება პერსპექტიული მოდელიერების ისეთი უამრავი ნივთის შეძენა, რომლის მსგავსსაც სხვაგან ვერ შეხვდებით.



მამაკაცების ჩასაცმელების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ბრენდს წარმოადგენს სწორედ პორტუში მდებარე ლა პაზი. მის პროდუქციას მსოფლიოს ყველა ბუტიკში შეხვდებით, დაწყებული ლოს ანჯელესითა და პარიზით დამთავრებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**ქალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ევროპა დერბი დე იტალიას მოლოდინშია



## სტატისტიკა, ფსონები

საინტერესო უქმეები ელით ფეხბურთის მოყვარულებს. ერთი დერბიც არის: დერბი დე იტალია — ინტერი-იუვენტუსი. იტალიაშივე საინტერესო იქნება ფიორენტინა-რომა.

მართალია, სხვაგან ასეთი ტური არ არის, მაგრამ საინტერესო მატჩები ნამდვილად ჩანს.

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.09 ჰალი-არსენალი | 6.0 | 3.8 | 1.57 |
| 17.09 სიტი-ბორნმუთი | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 17.09 ლესტერი-ბარნლი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 17.09 ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 17.09 ევერტონი-მიდლსბრო | 1.7 | 3.6 | 5.5 |
| 18.09 უოტფორდი-მანჩესტერი | 5.0 | 4.0 | 1.55 |
| 18.09 კრ.პალასი-სტოკი | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 18.09 საუთჰემპტონი-სუონსი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 18.09 ტოტენჰემი-სანდერლენდი | 1.3 | 5.0 | 11.0 |

**ჰალი-არსენალი**

ჰალი: ***ტრავმ-***ალან მაკგრეგორი, ალექს ბრუისი, მოსეს ოდუბაჯო, მაიკლ დაუსონი

არსენალი: ***ტრავმ-***დანი უელბეკი, პერ მერტეზაკერი

**სიტი-ბორნმუთი**

სიტი: ***ტრავმ-***არავინ

ბორნმუთი: ***ტრავმ-***არავინ

**ლესტერი-ბარნლი**

ლესტერი: ***ტრავმ-***არავინ

ბარნლი: ***ტრავმ-***არავინ

**ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ-***კრის ბრანტი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ-***დიაფრა სახო, ანდრე აიევი

**ევერტონი-მიდლსბრო**

ევერტონი: ***ტრავმ-***ჯეიმს მაკკარტნი, მუჰამედ ბესიჩი

მიდლსბრო: ***ტრავმ-***ჯეიმს ჰასბენდი

**უოტფორდი-მანჩესტერი**

უოტფორდი: ***ტრავმ-***სტეფანო ოკაკა

მანჩესტერი: ***ტრავმ-***ჰენრიხ მხითარიანი, ლუკ შოუ

**კრ.პალასი-სტოკი**

კრ.პალასი: ***ტრავმ-***კონორ უიკჰემი, პაპე სუარე, ლოიკ რემი

სტოკი: ***ტრავმ-***სტივენ აირლანდი, იბრჰიმ აფელაი

**საუთჰემპტონი-სუონსი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ-***ჯერემი პიდი

სუონსი: ***ტრავმ-***არავინ

**ტოტენჰემი-სანდერლენდი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ-***დენი როუზი

სანდერლენდი: ***ტრავმ-***სტივენ პიენაარი, ფაბიო ბორინი, ვიტო მანონე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 2.ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-4 | 10 |
| 3.ევერტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| 4.მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 5.ტოტენჰემი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-2 | 8 |
| 6.ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 9-7 | 7 |
| 7.არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 8.ჰალი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 9.მიდლსბრო | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 10.უოტფორდი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-8 | 4 |
| 11.კრ.პალასი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 13.სუონსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14.ბორნმუთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15.ბარნლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 16.ლესტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 17.ვესტ ჰემი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| 18.საუთჰემპტონი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 19.სანდერლენდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 20.სტოკი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-10 | 1 |




### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.09 ლეგანესი-ბარსელონა | 13.0 | 6.5 | 1.2 |
| 17.09 ატლეტიკო-ხიხონი | 1.22 | 5.5 | 17.0 |
| 17.09 ეიბარი-სევილია | 3.1 | 3.4 | 2.25 |
| 17.09 ლას პალმასი-მალაგა | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 18.09 ოსასუნა-სელტა | 2.75 | 3.2 | 2.62 |
| 18.09 ბილბაო-ვალენსია | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 18.09 ვილიარეალი-სოსიედადი | 1.91 | 3.25 | 4.4 |
| 18.09 ესპანიოლი-რეალი | 9.0 | 5.0 | 1.33 |
| 19.09 ალავესი-დეპორტივო | 2.3 | 3.1 | 3.3 |

**ლეგანესი-ბარსელონა**

ლეგანესი: ***ტრავმ-***არავინ

ბარსელონა: ***ტრავმ-***არავინ

**ატლეტიკო-ხიხონი**

ატლეტიკო: ***ტრავმ-***ტიაგო, მიგელ მოია

ხიხონი: ***ტრავმ-***არავინ

**ეიბარი-სევილია**

ეიბარი: ***ტრავმ-***არავინ

სევილია: ***ტრავმ-***მაიკლ კრონდელი, ბენუა ტრემულანისი

**ლას პალმასი-მალაგა**

ლას პალმასი: ***ტრავმ-***არავინ

მალაგა: ***ტრავმ-***არავინ

**ოსასუნა-სელტა**

ოსასუნა: ***ტრავმ-***ხავიერ ფლანო

სელტა: ***ტრავმ-***ფაბიან ორელანა

**ბილბაო-ვალენსია**

ბილბაო: ***ტრავმ-***აგერ აკეჩე

ვალენსია: ***ტრავმ-***არავინ

**ვილიარეალი-სოსიედადი**

ვილიარეალი: ***ტრავმ-***რობერტო სოლდადო

სოსიედადი: ***ტრავმ-***იმანოლ აგირეჩე

**ესპანიოლი-რეალი**

ესპანიოლი: ***ტრავმ-***არავინ

რეალი: ***ტრავმ-***არავინ

**ალავესი-დეპორტივო**

ალავესი: ***ტრავმ-***ზუჰაირ ფედალი

დეპორტივო: ***ტრავმ-***სიდნეი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-3 | 9 |
| 2.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-5 | 7 |
| 3.ხიხონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 4.ლას პალმასი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-5 | 6 |
| 5.ბარსელონა | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| 6.ეიბარი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 7.ატლეტიკო | 3 | 1 | 2 | 0 | 5-1 | 5 |
| 8.ვილიარეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 9.ალავესი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 10.დეპორტივო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 11.ლეგანესი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 12.სოსიედადი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 13.ბეტისი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-8 | 4 |
| 14.ბილბაო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 15.ესპანიოლი | 3 | 0 | 2 | 1 | 7-9 | 2 |
| 16.მალაგა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 17.გრანადა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |
| 18.ოსასუნა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |
| 19.ვალენსია | 3 | 0 | 0 | 3 | 4-8 | 0 |
| 20.სელტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.09 აინტრახტი-ლევერკუზენი | 3.75 | 3.6 | 1.95 |
| 17.09 ბაიერნი-ინგოლშტადი | 1.07 | 11.0 | 29.0 |
| 17.09 ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი | 2.87 | 3.6 | 2.3 |
| 17.09 ჰამბურგი-ლაიპციგი | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| 17.09 დორტმუნდი-დარმშტადი | 1.14 | 7.5 | 19.0 |
| 17.09 გლადბახი-ვერდერი | 1.53 | 4.5 | 5.5 |
| 18.09 აუგსბურგი-მაინცი | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 18.09 ჰერტა-შალკე | 2.5 | 3.2 | 2.87 |

**აინტრახტი-ლევერკუზენი**

აინტრახტი: ***ტრავმ-***მარკ სტენდერა

ლევერკუზენი: ***ტრავმ-***კევინ ვოლანდი

**ბაიერნი-ინგოლშტადი**

ბაიერნი: ***ტრავმ-***ჟერომ ბოატენგი, კინგსლი კომანი, ჰოლგერ ბადშტურბერი, არიენ რობენი

ინგოლშტადი: ***ტრავმ-***არავინ

**ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ-***ადამ ზალაი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ-***ჯოშუა გულავოგი, სებასტიან იუნგი

**ჰამბურგი-ლაიპციგი**

ჰამბურგი: ***ტრავმ-***გიდეონ იუნგი, იოან ჯურუ, ანდრეას ჰირცელი

ლაიპციგი: ***ტრავმ-***არავინ

**დორტმუნდი-დარმშტადი**

დორტმუნდი: ***ტრავმ-***ერიკ დურმი, მარკო როისი, ნევენ სუბოტიჩი

დარმშტადი: ***ტრავმ-***იან როზენტალი

**გლადბახი-ვერდერი**

გლადბახი: ***ტრავმ-***ჯიბრილ სოუ, იოსიპ დრმიჩი

ვერდერი: ***ტრავმ-***კლაუდიო პიზარო, მაქს კრუზე

**აუგსბურგი-მაინცი**

აუგსბურგი: ***ტრავმ-***არავინ

მაინცი: ***ტრავმ-***ჯანლუკა ჩურჩი

**ჰერტა-შალკე**

ჰერტა: ***ტრავმ-***პერ სკელბერდი, ონდრეი დუდა

შალკე: ***ტრავმ-***ფრანკო დი სანტო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2.ჰერტა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3.კიოლნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 4.ვოლფსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 5.ლაიპციგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6.ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 7.ფრაიბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 8.დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9.აინტრახტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 10.გლადბახი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 11.აუგსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 12.დარმშტადტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 2 | 0 | 2 | 0 | 6-6 | 2 |
| 14.მაინცი | 2 | 0 | 1 | 1 | 5-6 | 1 |
| 15.ჰამბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 16.ინგოლშტადტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 17.შალკე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 18.ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-8 | 0 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.09 ლაციო-პესკარა | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 17.09 ნაპოლი-ბოლონია | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 18.09 უდინეზე-კიევო | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 18.09 კალიარი-ატალანტა | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 18.09 სასუოლო-ჯენოა | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 18.09 კროტონე-პალერმო | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 18.09 ტორინო-ემპოლი | 1.8 | 3.5 | 4.6 |
| 18.09 ინტერი-იუვენტუსი | 4.33 | 3.25 | 1.91 |
| 18.09 ფიორენტინა-რომა | 2.8 | 3.5 | 2.4 |

**ლაციო-პესკარა**

ლაციო: ***ტრავმ-***არავინ

პესკარა: ***ტრავმ-***არავინ

**ნაპოლი-ბოლონია**

ნაპოლი: ***ტრავმ-***ვლად კირიკეში

ბოლონია: ***ტრავმ-***ანტონიო მირანტე

**უდინეზე-კიევო**

უდინეზე: ***ტრავმ-***სამირი

კიევო: ***ტრავმ-***არავინ

**კალიარი-ატალანტა**

კალიარი: ***ტრავმ-***არტურ იონიტა

ატალანტა: ***ტრავმ-***არავინ

**სასუოლო-ჯენოა**

სასუოლო: ***ტრავმ-***დომენიკო ბერარდი, სტეფანო სენსი

ჯენოა: ***ტრავმ-***არავინ

**კროტონე-პალერმო**

კროტონე: ***ტრავმ-***არავინ

პალერმო: ***ტრავმ-***რობინ ქუასონი

**ტორინო-ემპოლი**

ტორინო: ***ტრავმ-***ანდრეა ბელოტი, ადამ ლიაიჩი

ემპოლი: ***ტრავმ-***არავინ

**ინტერი-იუვენტუსი**

ინტერი: ***ტრავმ-***მარკო ანდრეოლი

იუვენტუსი: ***ტრავმ-***სტეფანო სტურარო, კლაუდიო მარკიზიო

**ფიორენტინა-რომა**

ფიორენტინა: ***ტრავმ-***არავინ

რომა: ***ტრავმ-***არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2.რომა | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 3.ნაპოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 4.ჯენოა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 5.სამპდორია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 6.უდინეზე | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 6 |
| 7.ბოლონია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-6 | 6 |
| 8.პესკარა | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| 9.კიევო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 10.ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 11.ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 12.ტორინო | 3 | 1 | 0 | 2 | 8-6 | 3 |
| 13.ფიორენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 14.ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 6-7 | 3 |
| 15.მილანი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 16.ემპოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 17.სასუოლო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 18.კალიარი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| 19.პალერმო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 20.კროტონე | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.09 მონაკო-რენი | 1.75 | 3.6 | 4.75 |
| 17.09 ნანსი-ნანტი | 2.25 | 3.0 | 3.5 |
| 17.09 ბორდო-ანჟე | 1.85 | 3.3 | 4.6 |
| 17.09 დიჟონი-მეცი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 17.09 ტულუზა-გენგამი | 2.1 | 3.2 | 3.75 |
| 17.09 ლორიანი-ლილი | 2.9 | 3.2 | 2.5 |
| 18.09 მონპელიე-ნიცა | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 18.09 სტ.ეტიენი-ბასტია | 1.67 | 3.4 | 6.0 |
| 18.09 მარსელი-ლიონი | 2.62 | 3.4 | 2.6 |

**მონაკო-რენი**

მონაკო: ***ტრავმ-***ბენჯამინ მენდი, დანიელ სუბასიჩი, ტომას ლემარი, გუიდო კარილო, კილიამ მბაპე

რენი: ***ტრავმ-***ერმირ ლენიანი, კამილ გროსიცკი, კლემენტ ჩანტომე

**ნანსი-ნანტი**

ნანსი: ***ტრავმ-***სერჟ ნგუესანი, მოდოუ დიაგნე

ნანტი: ***ტრავმ-***დიეგო კარლოსი, ჟულეს ილოკი, ემილიანო სალა

**ბორდო-ანჟე**

ბორდო: ***ტრავმ-***ჯერემი ტულანანი, ფრედერიკ ჯილბერტი

ანჟე: ***ტრავმ-***ჟილ სუნუ, გრეგუარ ბურილონი

**დიჟონი-მეცი**

დიჟონი: ***ტრავმ-***არავინ

მეცი: ***ტრავმ-***იან იუფრე

**ტულუზა-გენგამი**

ტულუზა: ***ტრავმ-***სომალია

გენგამი: ***ტრავმ-***არავინ

**ლორიანი-ლილი**

ლორიანი: ***ტრავმ-***ლინდსეი როუზი

ლილი: ***ტრავმ-***რონი ლოპესი, მუნირ ობადი

**მონპელიე-ნიცა**

მონპელიე: ***ტრავმ-***ჰილტონი

ნიცა: ***ტრავმ-***მეტიუ ბოდმერი

**სტ.ეტიენი-ბასტია**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ-***ჯერემი კლემენტი, ოსამა ტანანე, პიერ ივეს პოლომატი, ბენჯამინ კორნე, ალექსანდერ სოდერლუნდი

ბასტია: ***ტრავმ-***ალექსანდერ ჯიკუ

**მარსელი-ლიონი**

მარსელი: ***ტრავმ-***რემი კაბელა, აბუ დიაბი, ანრი ბედიმო

ლიონი: ***ტრავმ-***მეტიუ ვალბუენა, კლემენტ გრანიე, ჯერემი მორელი, კრისტოფ ჟალე

**სატურნირო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 2.ნიცა | 4 | 3 | 1 | 0 | 6-3 | 10 |
| 3.მეცი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 4.ბორდო | 4 | 3 | 0 | 1 | 8-7 | 9 |
| 5.გენგამი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 6.რენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 7 |
| 7.პსჟ | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 8.ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-7 | 6 |
| 9.ბასტია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| 10.კაენი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 11.ტულუზა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-3 | 5 |
| 12.სტ.ეტიენი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 13.მონპელიე | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 14.მარსელი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 15.ლილი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 16.დიჟონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| 17.ანჟე | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| 18.ნანტი | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 3 |
| 19.ნანსი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-7 | 3 |
| 20.ლორიანი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-10 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# არიანე რობენს ბაიერნში გალიმება სურს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

***— ფეხბურთელს არასდროს სურს მატჩების ტრიბუნიდან ყურება. ამ სეზონში მიუნხენის ბაიერნმა უთქვენოდ არაჩვეულებრივი სტარტი აიღო.***

— მიმაჩნია, რომ ტრავმირებული ყოფნა ბაიერნში სჯობს, ვიდრე სხვაგან. მართლაც, ძალიან კარგი სანახავია ჩვენი ბიჭების გამარჯვება. მსგავსი მომენტები ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ეს ყველაფერი მოედანზე დაბრუნების მოტივაციას აორმაგებს და კიდევ უფრო დიდი სურვილი მაქვს სათამაშო მინდორზე გუნდის წარმატებაში წვლილის შეტანის.

***— უახლოეს პერიოდში ბაიერნს 5 მატჩის გამართვა მოუწევს. გაქვთ თუ არა კონკრეტული გეგმა ამ პერიოდში მოედანზე დაბრუნებისათვის?***

— ჩვენ ყოველდღიურად ვშრომობთ ამისთვის. ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და მინდა, დაძაბულობას მომავალშიც გავუმკლავდე. მომავალ დღეებშიც მთელი მონდომებით ვიბრძოლებ დასახული მიზნის მისაღწევად. არაერთი მატჩის ჩატარება მოგვიწევს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოედანზე ტრავმის სრულად მოშუშების შემდეგ დავბრუნდე. სწორედ ეს არის ის, რისთვისაც ამ ხნის განმავლობაში ვიბრძვი. გუნდური ვარჯიში აბსოლუტურად განსხვავდება ინდივიდუალურისაგან. ბიჭებთან ერთად ვარჯიში გაცილებით სახალისო და სასიამოვნოა. მე გუნდს დავუბრუნდი, ამიტომ ძალიან ბედნიერი ვარ. ახლა არ ვგრძნობ ეჭვებსა და დარდებს ტრავმებთან დაკავშირებით, რადგან მჯერა საკუთარი სხეულის და ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# TV პროგრამა

## ორშაბათი 19 სექტემბერი

06.10, 14.10 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 07.10 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ცნობიერებით მანიპულირება" (პარ.გ/ჩ) 08.00, 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 08.10 ან/სერ "მადაგასკარის პინგვინები" 08.40 "ტელემანი" 09.00 "დილის მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.20 მხ/ფ "**ჯადოქარი**" 14.50 დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 15.35 "ეკიპაჟი" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ავიაკატასტროფა" 20.00 მოამბემოამბის სტუმარი 21.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 22.30 გადაცემა "X სტუდია" 23.30 მხ/ფ "**მარიამი-შოტლანდიელთა დედოფალი**" (ვ. რედგრეივი) 01.40 მხ/ფ "**ათოვდა კედრებს**" (ი.ჰოუკი)

08.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 09.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 10.00 დ/ფ "კლიტ ისტვუდი-მოხალისე მსროლელი" 11.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 12.00 ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00, 20.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" 18.00, 21.00 "არჩევნები 2016" 20.00 "მოამბე" 22.00, 01.00 ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

05.30 სერ. "**ბამბის ველი**" 06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 პოლიტიკური თოქ შოუ 00.00 მხ/ფ "**გატაცებული**" 02.00 მხ/ფ "**ოლიმპოს დაცემა**" 03.55 მხ/ფ "**გაქცევა**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**დედოფლის სევდა**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 22.00 არჩევანი - 2016 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 12.00 შეხვედრები რეგიონულ მედიასთან 13.30, 2.50 სერ. "**ძვლები**" 14.30 ცოლები და ქმრები 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "**მსახიობი მამა**" 17.30 აირჩიე კაბა რენდისთან ერთად 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 23.30 სერ. "**ჰეროკრატია**" 0.30 მხ/ფ "**შოტლანდიის უკანასკნელი მეფე**"

